პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 19 დეკემბერი, 1943 წ. № 261 (6886). ფასი 20 კაპ.

საგბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

18 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

18 დეკემბრის განმავლობაში კიროვოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც მოწინააღმდეგე განდევნეს მისი თავდაცვის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტიდან. მოწინააღმდეგე არაერთგზის შეეცადა კონტრიერიშები მოეტანა ჩვენს ნაწილებზე, მაგრამ უკუგდებულ იქნა მისთვის დიდი ზარალის მიყენებით.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა.

17 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 33 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 66 თვითმფრინავი.

* * *

კიროვოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ და მოწინააღმდეგის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი დაიკავეს. ერთ-ერთ ამ დასაყრდენ პუნქტში ნ შენაერთის ნაწილებმა ხელი იგდეს ორი საარტილერიო ბატარეა, საომარი მასალის საწყობი, ბევრი ტყვეამფრქვევი და სხვა დაკა. გერმანელები ცდილობდნენ დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები და კონტრიერიშზე გადმოიყვანეს ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები. ჩვენმა არტილერისტებმა და ნიღმმტყორცნელებმა შემჩიდრეგული ცეცხლით მოწინააღმდეგის საბრძოლო წყებებში დიდი განადგურება მოახდინეს. ჰიტლერელთა ყველა შემდგომს კონტრიერიშს აგრეთვე არა ჰქონია წარმატება. მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა მისთვის დიდი ზარალის მიყენებით. ლეის განმავლობაში ამ უბანზე გაყლეტილია 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარი და დაზიანებულია მტრის 17 ტანკი, 6 თვითმავალი ქვემეხი და 15 ჯავშანტრანსპორტიორი. ბრძოლის ველზე დარჩა ბევრი ცარიელი, რაც გერმანელებმა უკანდახევის დროს მიატოვეს. სხვა რაიონში საბჭოთა მოძრაგმა რაზმებმა უეცრად დაარტყეს მტერს და ორ ასეულამდე ჰიტლერელი გაყლეტეს. დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 11 ტანკი, 2 ავტოცისტერნი საწვავიანად და 20 ავტომანქანა. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია ფული.

* * *

ჩვენი ავიაცია ტორტყამდა მოწინააღმდეგის ჯარებს. დღის განმავლობაში საბჭოთა მფრინავებმა დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა ტანკების მნიშვნელოვანი რაოდენობა, 200-ზედ ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, აფეთქეს სამზედრო ეშელონი და ჩაბუქეს მტრის 27 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი.

* * *

მინსკის ოლქში მოქმედი პარტიზანები ურტყამენ მტრის მიმოსვლის გზებს. რაზმ „ზნამიას“ პარტიზანებმა ნაღმებზე აფეთქეს გერმანელთა 13 სამზედრო ეშელონი, რომლებიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდნენ. მარტის შედეგად დამტვრეულია 13 ორთქლმავალი და 70-ზე მეტი ვაგონი და ბლატფორმა სამეჯდრო ტვირთიანად. მატარებელთა მოძრაობა რკინიგზის ამ უბანზე შეწყვეტილი იყო 74 საათის განმავლობაში. ამავე რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა გზატეხილზე მოსპო 12 ავტომანქანა და ამასთან 40-ზე მეტი ჰიტლერელი გაუყლეტა. რაზმ „რიზგრომის“ პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 13 მატარებელი. ამ მატარებელთა მცველებიდან მოკლულია და დაჭრილია 112 ჰიტლერელი.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა მეთაური ნაცრები ასეულისა, რომელიც შედგენილია გერმანიის მე-9 არმიის ზურგის ქვეგანყოფილებათა ჯარისკაცებისაგან, ობერ-ლეიტენანტი არნოლდ ნ. მასთან ერთად იარაღი დაპყრა და ტყვედ დაგვნებდა 20 გერმანელი ჯარისკაცი. არნოლდ ნ-მ განაცხადა: „ომის თითქმის მთელი ხნის განმავლობაში მე საფრანგეთში ვიყავი. რუსეთში 1943 წლის სექტემბრის ბოლოს მოვხვედი და მოვლინებული ვიყავ მე-9 არმიის შტაბის ერთ-ერთ განყოფილებაში, მე სისტემატურად ვისმენდი რადიოგადმოცემას ლონდონიდან და მოსკოვიდან, ამასადამე, შემეძლო ობიექტურად შემეფასებინა შექმნილი საომარი მდგომარეობა. რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ხელმძღვანელთა თეირანში მოწყობილი კონფერენციის გადაწყვეტილებებმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს. განსაკუთრებით დამამახსოვრდა კომუნიკეს ის ადგილი, სადაც ლაპარაკია მომავალი საომარი ოპერაციების შესახებ გერმანიის წინააღმდეგ ხმელთაგლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. დღემდე გერმანიის არმიის მთავარი ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე მოქმედებენ. უკანასკნელ წელს რუსებმა გერმანიის არმიას დიდი დამარცხებანი მიაყენეს და ალიონულს დაეტოვებინა ვრცელი ტერიტორიები. ამ წლის განმავლობაში ჩვენ უდიდესი მსხვერპლი გავიღეთ. რუსეთზე გალაშქრებამ დაასუსტა გერმანია და საფუძველამდე შეარყია გერმანიის არმია. რაღა იქნება მაშინ, როდესაც ბრძოლაში გამოიყენენ ინგლისისა და ამერიკის უზარმაზარსა ხელ ჯერ ხელუხლებელ რეზერვებს? უეჭველია, მაშინ გერმანიის არმიას დალუბულ მოელის. ამას წინათ მე ნაკრები ასეულის მეთაურად დამნიშნეს და მოწერილ ხაზზე გამგზავნეს. ჩემს ასეულს ნაბრძანები ჰქონდა დაეცვა ერთი მალლობი. რუსები გვიტევდნენ. მე შემეძლო უკან დამეხია, მაგრამ არა მსურდა. მე მესმოდა, რომ თუ დღეს ბრძოლიდან უვნებლად გამოხვალს მოვახერხებდი, ეს ისაა, რაფი ნიშნავს, რომ ხელაც ბედი გამიღიმებს. საჭირო არ არის მსხვერპლად შეწირო ჩემი თავიც და ჩემი ჯარისკაცებიც წაგებულსა და უიმედო საქმეს. აი რატომ გადმოვედი რუსთა მხარეზე და თან მოვიყვანე ჩემი 20 ჯარისკაცი“.

* * *

წითელი არმიის დარტყმების შედეგად უკანდახევისას გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ვაძარცვეს და მოლად გადაბუნეს გომელის ოლქის დაბა გორკალი. გერმანელი ჯარისკაცები კარი-კარ დიარეგბოდნენ და მცხოვრებთ არამიერდნენ ყველაზე უფრო ძვირფასნივთებს. საყოველთაო ძარცვას თან ახლდა წმიდიროვანმოქალაქეთა ხოცვა. ჰიტლერელმა ერთ სახლში შეეყარეს 65 მოხუცი, ქალი და ბავშვი და ფინჯრებში ისროლეს გრანატები და ავტომატები. გერმანელ მკვლელთა ხელით დალუპნენ ნიკანორ ბიბიკი—70 წლისა, მისი ცოლი მარიამი—68 წლისა, დემიან შკურინი—78 წლისა, ვასილ ბობოკი, ანა ბობოკი და სხვანი. სრულიად უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრებნი რომ დაზოცეს, გერმანელებმა დაბას ყველი მხრივ ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლმა ოსპო 300-ზე მეტი მცხოვრებელი სახლი.

დეპეშები

რუზველტის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ლონდონი, 17 დეკემბერი (საკადესი). რეიტერის საინფორმაციო სააგენტოს ვაშინგტონელი კორეს. პონდენტის ცნობით, პრეზიდენტმა რუზველტმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ იგი თვირანში გაჩერდა რუსეთის და არა ამერიკის საელჩოში იმიტომ, რომ სტალინმა შეიტყო გერმანელთა შეთქმულების შესახებ.

მარშალმა სტალინმა განაცხადა, — დასძინა რუზველტმა, — რომ შესაძლოა მოწყობილ იქნას შეთქმულება კონფერენციის ყველა მონაწილის მოკვლის მიზნით. მან სთხოვა პრეზიდენტ რუზველტს გაჩერებულიყო საბჭოთა საელჩოში, რათა საჭირო არ ყოფილიყო ქალაქში წასვლა-წამოსვლა. ჩერჩილი გაჩერდა ბრიტანეთის საელჩოში, რომელიც საბჭოთა საელჩოს გვერდით არის მოთავსებული. პრეზიდენტმა განაცხადა, თეირანის გარშემო, ალბათ, გერმანიის ასიოდე ჯაშუში იმყოფებოდო. გერმანელებისთვის ფრიად ხელსაყრელი საქმე იქნებოდა, დასძინა რუზველტმა, მათ რომ შესძლებოდათ ბოლო მოეღოთ მარშალ სტალინისთვის, ჩერჩილისა და ჩემთვის იმ დროს, როდესაც ჩვენ თეირანის ქუჩებით ვიხეტიალეთ. საბჭოთა საელჩო და ამერიკის საელჩო ერთმანეთს კილომეტრ-ნახევარამდე მანძილით არიან დაშორებულნი.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, მისი მგზავრობა ყოველი მხრივ წარმატებითი იყო როგორც ომის ხელმძღვანელობის, ისე ომისშემდგომ პერიოდზე დაშყარებული ამეიდების თვალსაზრისით. მთელს კონფერენციას წითელ ზოლად გასდევდა მისწრაფება, რომ ადამიანებს ომი ალარ ექნათ. ომი ყველ შემთხვევაში ახლანდელი თაობის განმავლობაში. სტალინი, რომელიც რუზველტმა შეაქო რეალისტისათვის, ეზიარებს, რუზველტის სიტყვით, მის აზრს ომის შესახებ, რომ არ უნდა იყოს ომები და რომ ადამიანები, რომლებიც ამ თვალსაზრისს ეთანხმებიან, მხარს დაუჭერენ მას.

რუზველტმა დასძინა, რომ სტალინმა გამართალია მისი ყველაზე მაღალი იმედები და რომ მათ შორის შესულა მრავალი საუცხოო საუბარი. პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა ბერეთვე გენერალ ჩან კაი-შისთან შეხვედრის გამო. რუზველტმა უარჰყო ღერძის წყაროებიდან გამომდინარე ცნობა იმის შესახებ, რომ იგი ესაუბრა გენერალ ფრანკს. მიგრამ მან განაცხადა, რომ გაჩერდა დაკარმი გუბერნატორთან და საზღვაო თანამდებობის პირებთან სათათბიროდ.

ინგლისის მეუფემ მიიღო საბჭოთა ელჩი

ლონდონი, 17 დეკემბერი (საკადესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, მეფე ჯორჯ VI-ემ 15 დეკემბერს მიიღო სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში გუსევი, რომელმაც ინახულა მეფე, რათა გადაეცა მისთვის მარშალ სტალინის პირადი მადლობა სტალინგრადისათვის საპატიო მახვილის გადაცემის გამო.

ინდოეთის საკითხების საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის შესახებ

ალეირი, 17 დეკემბერი (საკადესი). იტალიის საკითხების საკონსულტაციო საბჭოს მესამე სხდომასთან დაკავშირებით ქვეყნდება შემდეგი კომუნიკე:

15 დეკემბერს ალეირში შესდგა იტალიის საკითხების საკონსულტაციო საბჭოს მესამე სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა რობერტ დ. მერფი, საბჭოს წევრი ა. შ. შტატების მხრივ. სხდომას ესწრებოდნენ: ანდრია ვიშინსკი—სსრ კავშირის წარმომადგენელი, რენე მასიგლი—საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენელი და როჟერ მეკინზი, რომელიც შეერთებული სამეფოს წარმომადგენლის სახით მოქმედებს იქ არმყოფ ჰაროლდ მაკმილანის ნაცვლად.

იმ საკითხის განხილვის შემდეგ, რომელიც საკონსულტაციო საბჭოს წინაშე დასმული იყო მოკავშირეთა მთავარსარდლის გენერალ დუაიტ დ. ეიზენჰაუერის ნიერ, გადასწყდა რეკომენდებულ იქნას, რომ იტალიის მთელი ოკუპირებული ტერიტორია პროვინციების სალერნო-ჰოტენცას და ბარის ჩრდილოეთი საზღვრების სამხრეთით, სიცილიისა და სარდინიის ჩათვლით, უახლოეს ხანში გადაეცეს იტალიის ადმინისტრაციას, რომელმაც უნდა იმოქმედოს იტალიის საკითხების მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის ინსტრუქციებს შესაბამისად და მისი ხელმძღვანელობით, თანახმად დროებითი ზავის პირობებისა ამ რეკომენდაციის წარდგენისას მხედველობაში ჰქონდათ, რომ გადაცემა უნდა დაექვემდებაროს ორ პირობას:

1) რომ ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაცია განხორციელებული იქნება ამ თანამდებობის პირების მიერ, რომლებმაც დაამტკიცეს თავისი კეთილსინდისიერება და სიმპატიები მოკავშირეებისადმი და

2) რომ გადაცემა არავითარ ვალდებულებას არ გამოიწვევს მარშალ ბადოლიოს მთავრობის მიმართ რომის აღების შემდეგ.

საბჭოს აგრეთვე ურჩია მოკავშირეთა მხარესარდალს, რომ მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს მიეცეს დირექტივა იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელი ფუნქციების განხორციელებისას მან უნდა იხელმძღვანელოს, რამდენადაც ამის საშუალებას მისცემს სამხედრო საჭიროება, მოსკოვის დეკლარაციის პუნქტებით იტალიის შესახებ, განსაკუთრებით მე-2 პუნქტით, რომელიც შეიცავს ამ დეკლარაციის მიერ გათვალისწინებულ კონკრეტულ ღონისძიებათა ჩამოთვლას.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ დეკლარაციამ იტალიის შესახებ დადგინა, რომ ამერიკის, ბრიტანეთისა და საბჭოთა მთავრობანი სავსებით თანახმანი არიან იმისა, რომ მოკავშირეთა პოლიტიკა იტალიის მიმართ უნდა ემყარებოდეს შემდეგს ძირითად პრინციპს: რომ ფაშიზმი და ყველა დამლუპველი გავლენა და შედეგი მისი სავსებით უნდა იქნას მოსპობილი და რომ იტალიელ ხალხს უნდა მიეცეს სრული შესაძლებლობა დამყაროს სამთავრობო და სხვა დაწესებულებანი, რომელნიც დაფუძნებული იქნებიან დემოკრატიის პრინციპზე. ამ დეკლარაციის მიერ დასახულ კონკრეტულ ღონისძიებათა შორის მეორე ღონისძიება ითვალისწინებს, რომ სიტყვის, სარწმუნოების, პოლიტიკური რწმენის, მეტყველთა სიტყვისა და ერების თავისუფლება სავსებით დაებრუნდება იტალიელ ხალხს, რომელსაც უფლება უნდა ჰქონდეს შეჰქმნას ანტიფაშისტური პოლიტიკური ჯგუფები.

საბჭომ განიხილა აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც ეხებიან თანამედროვე მდგომარეობას იტალიაში. იტალიის საკითხების საკონსულტაციო საბჭოს პირველი ორი სხდომა მოხდა 28 ნოემბერს და 3 დეკემბერს, ალეირსა და ბრინდიზში, შესაბამისად. რენე მასიგლი თავმჯდომარეობდა პირველ სხდომაზე და ანდრია ვიშინსკი—მეორეზე, შესაბამისად საბჭოს გადაწყვეტილებისა იმის შესახებ, რომ თავმჯდომარეობა უნდა განხორციელდეს მორიგეობით საბჭოს ყველა წევრის მიერ.

მდგომარეობა იტალიის ფრონტზე

ლონდონი, 17 დეკემბერი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ამერიკის მეხუთე არმიის ნაწილებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი მაღლობი ალფედენის სამხრეთით. მეხუთე არმია ჩრდილოეთისაკენ მიიწევს, რათა დამთავროს გერმანელთა გარემოცვა მინიანოს გასასვლელთან.

ინგლისის მერვე არმიის ჯარები სოლენოვით შეიპრნენ გერმანელთა თავდაცვის ხაზში ადრიატიკის სანაპიროზე ორტონიდან ორსონიაში მიმავალი გზის გასწვრივ და ნელა, მაგრამ შეუპოვრად მიიწევენ წინ. მერვე არმიის სარდლობას ალბათ განხრახული აქვს მოწყვეტოს გერმანელთა სამშილაანი თავდაცვის ხაზის ის კიდე, რომელიც ადრიატიკის სანაპიროს ებრალება, და გაჰკაფოს გზა პესკარაზე შეტევისათვის სანაპიროს გასწვრივ.

უკანასკნელ ბრძოლებში გერმანელებს ძალიან ზარალი მოუვიდათ. ორტონის დაცემის სულ ახლო მომავალში მოელიან.

ვაშინგტონი, 16 დეკემბერი (საკადესი). ა. შ. შტატების სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა უკანასკნელ ყოველდღიურ სამხედრო მიმოხილვაში განაცხადა, რომ ამერიკელთა მეხუთე არმიის ესპარებიან იტალიელები დასავლურ-ნაპირეთ მაროკოს ჯარები. სტიმსონმა აღნიშნა, რომ იტალიაში გაფანტულნი ბრძოლები სწარმოებს, მაგრამ მოკავშირეებმა მცირედ წაიწიეს წინ რომის მიმართულებით. ცუდი მეტეოროლოგიური პირობები ამარკოლებდა ავიაციის მოქმედებას.

სასამართლო პროცესი

ქალ. ხარკოვისა და ხარკოვის ოლქის ფერიგორიაზე მათი დროებითი ოკუპაციის პერიოდში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩადენილ მხეცობათა შესახებ

16 დეკემბრის ლილის სხდომა

დაკითხულ იქნა რაინჰარდ რეცლავი. — ... გერმანიის საიდუმლო საველე პოლიციის 560-ე ჯგუფის მოხელე. მან გაიარა სპეციალური მომზადება განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონ „ალტენბურგში“, რომელიც გერმანიის საიდუმლო საველე პოლიციის მოხელეთა სკოლას წარმოადგენს. ამ სკოლას ეძლეოდა გერმანიის მთავრობისაგან გამომდინარე მიზანდასახულობა, რომ რუსი ხალხი, როგორც დაბალი რასა. მოსპობილ უნდა იქნას. აი როგორ ხორციელდებოდა ეს პრაქტიკულად. ყველა დაპატიმრებული — სრულიად უდანაშაულო საბჭოთა მოქალაქეები, — აჩენენს რეცლავი, — უწინარეს ყოვლისა მზეკუთრად სცემდნენ. ჰიტლერელებს, ამრიგად უნდოდათ მათთვის საჭირო ჩვენება მიეღოთ. ბევრი დაპატიმრებული საბჭოთა ადამიანი იქნა კვდებოდა კუმთ. საიდუმლო პოლიციის მოხელენი კი მათ საბოლოთ ამდგენდნენ ფალსიფიცირებულ ჩვენებას. გარდა მასობრივი დახვრეტებისა და სახჩობელებისა, გერმანიის არმიის სარდლობა საბჭოთა ადამიანების მოსასპობად იყენებდა ეგრეთწოდებულ „გაზის მანქანებს.“— „ფურგონებს“. რეცლავი უშუალო მონაწილეობას იღებდა ამ საშინელ დანაშაულობაში.

— „გაზის ავტომობილის“ დანიშნულებას სასტიკად საიდუმლოდ ინახავდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა, აშკარა, იცოდა მათი დანიშნულება. ზოგიერთი დაპატიმრებული წინააღმდეგობას უწევდა, როცა მათ „გაზის ავტომობილში“ სვამდნენ. მათ ჯოხის, კონდახისა და რევოლვერის ტარის ცემით შერეკავდნენ შიგ, — აჩვენებს რეცლავი, — დაპატიმრებულთა შორის იყვნენ მოხუცები, ქალები და ბავშვებიც კი... მაგონდება შემთხვევა, როცა ერთ ქალს ხელიდან გამოგლეჯეს ბავშვი და იგი აქვითინებული, ეცა სდ ოფიცარს, რომელიც იქვე იდგა, და სახე გუაყწრა მას. ამ ოფიცერმა მაშინვე ამოიღო რევოლვერი და მოჰკლა ქალი.

— სულ რამდენი საბჭოთა ადამიანი იქნა მოსპობილი „გაზის ავტომობილის“ საშუალებით? — ეკითხება პროკურორი.

— ...მე ვიცი, — უპასუხებს ბრალდებული, — რომ მარტში მოსპობილ იქნა სულ 5 ათასი კაცი. თუ მხედველობაში მიკიდეთ, რომ „გაზის ავტომობილი“ ყოველ ჯერ ადგილდა მომაკვდინებელ თვეის რეისებს, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ქალაქ ხარკოვში მოკლულთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 30 ათასს კაცს აღწევს.

რეცლავი შემდეგ ამბობს, რომ საიდუმლო საველე პოლიციის „ფეგ“ ჯგუფები, „ანალფაბეტურ საქმიანობას“ ეწეოდნენ ეგრეთვე ქალაქებში ივანკოვში, პერეიასლავში, ლუბნში, პოლტავაში, ციტომირში.

— რამდენი საბჭოთა ადამიანი იქნა მოსპობილი ცალ-ცალკე ყველა ქალაქში, სადაც კი თქვენ ყოფნა გიხდებოდათ?—ეკითხება თავმჯდომარე.

— მარტო საიდუმლო საველე პოლიციამ ქალაქ ციტომირში მოსპო დაახლოებით 5-8 ათასი კაცი. ზუსტი ციფრის დასახელება მიძნელდება.

თავმჯდომარე ეკითხება რეცლავს, რამდენი საბჭოთა ადამიანი იქნა გაყლეტილი პერეიასლავსა და ლუბნში.

— ...იმ ქალაქებში,—აცხადებს რეცლავი, — საბჭოთა მოქალაქეებს სდ ორგანოები სპობდნენ ჩემთვის ცნობილია შემდეგი ციფრები: ივანკოვში მოსპობილ იქნა 35 ათასი საბჭოთა მოქალაქე, ლუბნში—4 ათასი, პერეიასლავში —2 ათასი...

რეცლავის შემდგომი ჩვენებიდან არკვევა, რომ საბჭოთა ადამიანების მასობრივ დახვრეტას ეწეოდა საიდუმლო საველე პოლიციის 560-ე ჯგუფის ყველა მუშაკი.

აღიარებს რა, რომ პირადად ორჯერ მიიღო მონაწილეობა „გაზის ფურგონებში“ ადამიანთა ჩასმაში, რეცლავი აცხადებს, რომ ჰიტლერელები სწავდნენ „გაზის მანქანაში“ დახრჩობილ ადამიანთა გვამებს, რათა თავიანთი ბოროტმოქმედების კვალი დაეფარათ.

— როდესაც ჩვენ მიერ მოტანილი გვამები დახრჩობილი ადამიანებისა ბორაკის დერეფანში დაწყეს, სდ ჯარისკაცები ბარაკში შეიდნენ და ბენზინი მოასხეს გვამებს. ასევე მოასხეს ბენზინი ბარაკის ფარე კედლებს, შემდეგ სდ ჯარისკაცებმა ანთებული ჩირაღდანი შეაგდეს ბარაკში და ცეცხლი წაუკიდეს მას. მე კიდევ ნახავი მაქვს 6 ამგვარი ბარაკი, რომლებიც ასეთივე წესით დაწვეს.

საიდუმლო საველე პოლიციის კომისარი შელისი მოიმოზოდა დახელოვნება გამოგვეჩინა დაპატიმრებულთა დაკითხვისას. დაესწრო რა ერთ-ერთ დაკითხვას, მან მიუთითა რეცლავს, თუ როგორ უნდა აწამონ ადამიანები.

— ... ეი ხელოვან, სთქვა მელისმა,— მიუთითა რა ბატიმრებზე, ამას ... ...

პარტიული ცხოვრება

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო წარმატებებისათვის ბრძოლაში

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიულმა მოხსენებამ და 7 ნოემბრის ბრძანებამ, ისე როგორც მთელ საბჭოთა ხალხში, ჩვენი რაიონის მშრომელებს შორის ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითების საფუძველზე რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ გააუმჯობესა მოსახლეობაში პოლიტიკური მუშაობა. ამ საქმეში მაკიცედ მოჰკიდეს ხელი რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, პარტიულმა, კომკავშირულმა და საბჭოთა აქტივმა. რაიონში ჩატარდა 149 ლექციო-მოხსენება, რასაც 16 ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

დიდი მონდომებით სწავლობენ რაიონის მშრომელები ამხანაგ სტალინის ისტორიულ წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ბელადის წიგნის შესასწავლად რაიონში ჩამოყალიბებულია 15 წრე. წრეების პროპაგანდისტებად შერჩეული არიან მომზადებული ამხანაგები. წრეებში გაერთიანებულია 526 მშენელი, ამავე დროს ბევრი ამხანაგი დამოუკიდებლად სწავლობს დიდი ბელადის ეპოქალურ ნაშრომს.

რაიონის მოსახლეობაში სააგიტაციო მუშაობას ეწევა 345 აგიტატორი. აგიტატორებად შერჩეული არიან აგიტორიტეტიანი და პოლიტიკურად მომზადებული ამხანაგები, პირველ რიგში სოფლის აქტივი. აგიტატორად მუშაობენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის აღმავლობამ ხელი შეუწყო რაიონში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებას. მაგალითად, საგარეჯოს ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში წინათ მთელი რიგი სამუშაოები ჩამორჩებოდა, პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შედეგად კოლმეურნეობამ სამშომდგომო თესვის გეგმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა. კოლმეურნეობის აქტივისტები—ს. ბუზარიაშვილი, ა. დემეტრაშვილი, გ. ქურხული და სხვები დაუოკავად ეწევიან კოლმეურნეთა შორის ბოლშევიკურ აგიტაციას, ბარათალი, დამაჯერებელი სიტყვით რაზმავენ კოლმეურნეებს სამამულო ომთან დაკავშირებულ ამოცანათა წარმატებებით შესრულებისათვის, აქ ყველა სამუშაო საუკეთესოდ სრულდება.

სააგიტაციო მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან საგარეჯოს კოლმეურნეობა „ახალი შრომის“, თოხლიაურის კოლმეურნეობა „სოფლის წყაროს“ თავმჯდომარეები ამხანაგები დ. დევდარიანი და ა. ბარამიძე, ისინი მიმზიდველი და ფაქტებით აღსავსე აგიტაციით თვალსაჩინო სამეურნეო წარმატებებს აღწევენ. ამ კოლმეურნეობებმა რაიონში პირველებმა საუკეთესო ხარისხით დაამთავრეს საშემოდგომო თესვა და ამასთანავე 1943 წლის ყვავილა სახის სახელმწიფო ვალდებულება პირნათლად შეასრულეს. 1943 წელს საუკეთესო მუშაობისათვის კოლმეურნეობა „ახალმა შრომამ“ რაიონული გაზეთის „სტალინური სიტყვის“ რედაქციის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო.

რაიონმა სტალინური კონსტიტუციის დღის—5 დეკემბრისათვის, უკვე შეასრულა საშემოდგომო თესვის გეგმა. დათესილია 12.820 ჰექტარი. საშემოდგომო თესვის სამუშაოებში ბეერმა კოლმეურნემ ისახელა თავი. კოლმეურნეები ნ. მეჭიდლიშვილი, ვ. ქოქაური, დ. დობტურიშვილი, ი. ჯარიაშვილი და სხვები ყოველდღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებდნენ. ფრონტელის ცოლი ელენე ჯიღაური (ლაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“) მოსავლის აღების დროს ყოველდღიურად 3 შრომადღეს იმუშავებდა, ამჟამად მას 600-ზე მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული.

რაიონის კოლმეურნეობები წარმატებით იბრძვიან მეცხოველეობის აღმავლობისათვის. მსხვილფეხა რქანი პირუტყვის სულადობის 1943 წლის გეგმა რაიონმა 100.5 პროცენტით შეასრულა, მეცხვარეობისა—110 პროცენტით, მეღორეობისა—107 პროცენტით და ა. შ. ამჟამად ენერგიულად ემზადებიან პირუტყვის საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის.

კოლმეურნეობები პირნათლად ასრულებენ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. მარცვლეულის ჩაბარების გეგმა რაიონმა ვადაზე ადრე 106 პროცენტით შეასრულა. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე ხორცის, მატყლის, რძის ნაწარმის წლიური გეგმები.

რაიონის კოლმეურნე ქალები და კაცები ყოველდღიურად აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას, სახელმწიფო სესხების სახით ქვეყანას წელს მილიონ-ნახევარ მანეთზე მეტი მისცეს.

დიდი ყურადღება ექცევა წითელი არმიის გმირი მებრძოლებისათვის საჩუქრების გაგზავნას. წელს რაიონის მშრომელებმა მათ 3 ტონამდე ხორცი, 500 ფრთა ქათამი, 6 ტონამდე ხილი და 10 ტონამდე სხვა პროდუქტები გაუგზავნეს.

წარმატებით ჩატარდა აგრეთვე ფრონტელთა ოჯახების დახმარების კვირეული. რაიონის კოლმეურნეობები და კოლმეურნეები ყოველდღიურ მზრუნველობასა და დახმარებას უწევენ ფრონტელთა ოჯახებს.

კოლმეურნეები დიდი ბელადის მოწოდებას კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ. სართიჭალის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ გერმანელ ფაშისტთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ ხარკოვის ოლქის კრასნოგრადის რაიონის კოლმეურნეობა „სერპ ი მოლოტის“ შეფობა იკისრა, ამ კოლმეურნეობის დასახმარებლად ტელმანელებმა გამოჰყვეს 5 ძროხა, 10 დედა-ცხვარი, 5 ჯიშიანი ღორი, 2 ტონა სათესლე ხორბალი, 2 საბარგული და სხვა პროდუქტები და ინვენტარი. ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მოწოდებით მიმართეს რაიონის კოლმეურნეებს, რომ მათაც გააძლიერონ დახმარება განთავისუფლებული რაიონებისადმი. ამ მოწოდებას კოლმეურნეები აქტიურად ეხმაურებიან. შეგროვებული და ამოყოფილია დიდძალი პროდუქტები და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი განთავისუფლებული რაიონების დახმარების ფონდისათვის.

ჩვენი რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას და შეუწყობილად ათავსებენ მას სამეურნეო მუშაობასთან.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ გაშალა პარტიულ-მასობრივი მუშაობა. მაგალითად, მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობასთან არსებულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი ორჯონიკიძე) სააგიტაციო მუშაობა ჩაშლილია. აქ აგიტატორები არ მუშაობენ, ხოლო პარტიული ორგანიზაცია საჭირო ზომებს არ იღებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მეურნეობაში საგრძნობლად ჩამორჩა ყურძნის დამზადების გეგმა, საჭირო ყურადღება არ ექცევა მომუშავეთა პირობების გაუმჯობესებას და სხვ. სუსტად მიმდინარეობს აგრეთვე სააგიტაციო მუშაობა მანავის ვორონეშლოვის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პარტორგანიზაციაში (მდივანი თ. ღორღოლიშვილი).

რაიკომი ყველა ღონისძიებას ატარებს რაიონში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საგარეჯოს რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებით, სამეურნეო წარმატებებისათვის თავდადებული ბრძოლით ყველფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მთელი შესაძლებლობით დიეხმარონ ხელოვან წითელ არმიას ვერაგი და საზიზღარი მტრის — გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების სრულ განადგურებაში.

ბ. ჟურაბეშვილი

ხაქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივანი

ახალი საწარმოო აღმავლობა საკოლმეურნეო სოფელში

დიდი სტალინის ისტორიული მოხსენებით და ბრძანებით აღფრთოვანებულმა თბილისის რაიონის ლისის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს 1943 წლის გეგმები ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის და სხვა პროდუქტების ჩაბარებისა.

გარდა ამისა, კოლმეურნეობებში თავთავიანი მარცვლეული კულტურები, ნაკვლად 440 ჰექტარისა, დასთესეს 500 ჰექტარზე. ამშემოდგომო თესვა დიდი წარმატებით დამთავრეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის (თავმჯდომარე გ. აღნიაშვილი) და ბაქრაძის სახელობის (თავმჯდომარე ნაღი ახმედოღლი) კოლმეურნეობებმა. გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე კუიბიშევის და ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობებმა. ამ კოლმეურნეობებში საუკეთესოდ მუშაობენ ბრიგადირები, რომლებსაც ა. სოზიაშვილი, ა. ოგანეზოვი, მ. ოგანეზოვი, ლ. ბერაძე და სხვ. ხელმძღვანელობენ. ლისის სასოფლო საბჭოს სამმა კოლმეურნეობამ ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად დათესა 11 ჰექტარი ხორბალი.

ი. ყველაიძე

კოლმეურნეებმა გაზაარდეს შრომის ნაყოფიერება

ლანჩხუთი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). კოლმეურნეობებში დიდი სტალინის მოწოდების საპასუხოდ ყოველდღიურად ადიდებენ ფრონტისადმი დახმარებას. კოლმეურნეობათა უმრავლესობამ წარმატებით შეასრულა 1943 წლის სამუშაოები. ლაშისღელის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ქსენია ორაგველიძე) ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის, მეცხოველეობის სულადობის გადიდების, მოსავლის აღების და სხვა გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულა. კოლმეურნეობა გვიმის ზვავის ზარდის 28 სულ მსხვილფეხა პირუტყვს, აქედან 8 სულს — ფაშისტ ოკუპანტებისგან განთავისუფლებული კოლმეურნეობებისათვის გასაგზავნად. აქ ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 21 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერისა და სხვ. კოლმეურნეობას სახელმწიფო ჩაბარებაზე ყველა გეგმა დიდი გადაჭარბებით აქვს შესრულებული, 1944 წლის ანგარიშში კი სახელმწიფოს ჩაბარება 630 კილოგრამი ხორცი, 200 კილოგრამი ყველი, მტს-ის ნატურასაზღაურის ანგარიშში — 750 კილოგრამი სიმინდი.

კოლმეურნეობაში ვალდებულებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ბრიგადები პროკოფი სირაძის, ჭიჭიკო წილოსანის და ხარიტონ ხუხუნაიშვილის ხელმძღვანელობით. სტახანოვურად მუშაობენ კოლმეურნეები ლუკა ქელბაქიანი, ა. წერეთელი, ფრონტელის ცოლი ნათელა წილოსანი, „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ ნიშნით დაჯილდოებული კალისტე ცინცაძე და სხვ.

დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენებისა და ბრძანების საპასუხოდ გაწაკუთრებული ჭონდღომელი მუშაობენ აგრეთვე სოფ. ბორეთის ბ. ძნელაძის სახელობის (თავმჯდომარე ლიდა დოლიძე), სოფ. მამათის ლ. ბერიას სახელობის და სოფ. ღრმაღელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში.

გავაძლიერეთ მზრალად ხვნის ჯემპები

ქასპი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა გააძლიერეს მზრალად ხვნის ტემპები და გადაჭარბებით შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები. მაგალითად, სოფელ სარიბარის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ზადიშვილი) გეგმით გათვალისწინებული 100 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 145 ჰექტარი, ოგოეთის კოლმეურნეობა „ბლეხის იმედმა“ (თავმჯდომარე მარიამ ჩადუნელი) 40 ჰექტარის ნაცვლად—75 ჰექტარი. გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე კოდისწყაროს (თავმჯდომარე ი. დვალიძე), რგვალიჭალის (თავმჯდომარე ტ. ხარირაშვილი), წინარეხის (თავმჯდომარე ი. ბერიაშვილი), და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

რაიონში ადგილი აქვს ჩამორჩენასაც, სოფ. ახალციხის (თავმჯდომარე ლუკა ბარნოვი), ქვემო გომის (თავმჯდომარე დიმიტრი კაციშვილი) კოლმეურნეობებში აქიანურებენ მზრალად ხვნას. ასევე ჩამორჩენენ ერთაწმინდის დოესი № 1 და 2, წითელქალაქის, ზემო ჩოჩეთის, ლამისყანის და სხვა კოლმეურნეობები. სუსტად მუშაობს მზრალად ხვნაზე წითელქალაქის მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

ვ. ბუზალაძე

თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივის წარმატება

თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანას მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა ახალ საწარმოო წარმატებას მიაღწია ჯერ კიდევ ივლისში მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ქარხნის „დინამოს“ კოლექტივის მომართვის პასუხად საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივმა იკისრა მიმდინარე წლის საწარმოო დავალების ვადაზე ათი დღით ადრე—20 დეკემბრისათვის შესრულება.

წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით და დიდი სტალინის მოწოდებით აღფრთოვანებულმა ქარხნის მუშებმა და სპეციალისტებმა 20 დეკემბრის ნაცვლად, მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა შესრულება დაამთავრეს 3 დეკემბრის, ე. ი. ვადაზე 17 დღით ადრე. გარდა ამისა, რომ საერთო პროდუქციის გაზრდის წლიური გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით არის შესრულებული, მიღწეულია შემდეგი მაჩვენებლები: გაიზარდა შრომის ნაყოფიერება 25 პროცენტით, ტონა ფერმენტრებული და დახარისხებული თამბაქოს თვითღირებულება შემცირებულია 101 მანეთით, საწარმოო დანაკარგები შემცირებულია 0,3 პროცენტით, მიღებული საწვავის ეკონომია 10 პროცენტის ოდენობით.

საწარმოო დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებით თავი ისახელეს ათობით საუკეთესო სტახანოველებმა. აღსანიშნავია ამხ. ა. ამირაჯოვის, ნ. ქვაბლიანის და ო. ჩივაძის კარგი შუამობა. 200-210 პროცენტით ასრულებდნენ საწარმოო დავალებებს მწოლიავები—ულიანოვა, კუჩინსკაია, მტვირთავები—მ. ყაზაროვა, გ. ასატერროვი, ს. ოთვიზონი, ხ. სმირნიანი და სხვა ეროფესიების წარმომადგენლები—ამხ. გარიბოვი, ოდიბაშიანი, ლიეროვსკაია და სხვ.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა მიმდინარე წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას ჩვენი წითელი არმიისათვის რამდენიმე ასი ტონა ფერმენტირებული და დახარისხებული თამბაქო.

მ. მათიაშვილი

თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის დირექტორი.

კუჩი—სახელმწიფოს

საგარეჯო („კომუნისტის“ კორ.). კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 17 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 25.600 კილოგრამი მარცვლეული. საგარეჯოს კოლმეურნეობა „ახალმა შრომამ“, წინწაწმინდის სტალინის სახელობის და სართიჭალის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ორ-ორი ტონა სიმინდი მიჰყიდეს. სოფ. კაკაბეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოთანგარიშემ ამხ. ა. კვეზერელმა სახელმწიფოს მიჰყიდა 130 კილოგრამი ხორბალი. სახელმწიფოს დიდი რაოდენობით ბიჩყიდეს მარცვლეული აგრეთვე ვანო და ასლან ბეგულოვებმა და კ. გულაღაშვილმა. რაასამომხმარებელო კოოპერაციამ პურის შესყიდვასთან დაკავშირებით სოფლებში შეიტანა 31.600 მანეთის სამრეწველო საქონელი.

გ. ზუკაკიშვილი

* * *

წალენჯიხა („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 30.000 კილოგრამი სიმინდი. მარცვლეული ყველაზე მეტი რაოდენობით ჩაბარეს სოფ. ფახულანის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა.

ვ. ბელქანია

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის სტახანოველი, კომკავშირელი ნატალია გოლოდნიცოვა, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ბ. ლუცენკოსი.

ხალხთა სწრაფინური მეგობრობის დროშით

ლანჩხუთი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეები წელს ივლისში სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ სვერდლოვის ოლქის სეროვის რაიონის კოლმეურნეებთან. რაიონის მშრომელები, აღფრთოვანებულნი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებითა და ბრძანებით, დაუღალავად შრომობენ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის. კოლმეურნეობებმა წელს 310 ჰექტარით მეტი სიმინდი დასთესეს, ვიდრე გასულ წლებში. გარდა ამისა, თავდაცვისა და ქმური დახმარების ფონდში დასთესეს 284 ჰექტარი, უზრუნველესყოფილი უნდა სამხედრო მოსავლის მიღება და სავალდებულო ჩაბარების გეგმის შესრულების შემდეგ სახელმწიფოს მიჰყიდეს 95 ტონა სიმინდი.

კოლმეურნეობები წარმატებით იბრძვიან ძვირფასი კულტურების მოვლისათვის. წელს გეგმის გადამეტებით ჩაბარეს სახელმწიფოს ერთი მილიონი ცალი მანდარინი. მოკრეფეს და ფაბრიკებს ჩაბარეს აგრეთვე 4.190.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, სახელმწიფოს აძლევენ ნახევარ მილიონ კილოგრამ ტუნგოს ნაყოფს. ვადაზე ადრე გადაჭარბებით შესრულებულია ყველა სახელმწიფო ვალდებულება.

რაიონში განსაკუთრებული დახმარება ეწეოდა ფრონტელთა ოჯახებს. მეორე კვირეულში შეგროვებულ იქნა 246.972 მანეთი, 33.235 კილოგრამი სიმინდი და სხვა პროდუქტები.

მარგანეცის მაღაროების რაციონალიზაციორები

ჭიათურა („კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტისაგან). ჭიათურის მარგანტესტის მაღაროებში უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მუშათა რაციონალიზატორული აზრის გამოვლინებას. მარგანტესტის ტექნიკურ განყოფილებასთან შეიქმნა რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიურო. გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის დამუშავდა თემები მაღაროებისა და გამამდიდრებელი ქარხნების მიხედვით. აქ აღნიშნული წარმოების „ვიწრო ადგილები“ და აქეთკენ მიმართა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითი აზრი.

ლენინის სახელობის მაღაროს ელმავლების დეპოს უფროსმა ამხ. ვ. ბოგატირმა დაამზადა ელმავლის ახალი პანტოგრაფის სავარცელი, რითაც წარმოებამ დიდძალი დანაზოგი მიიღო. წინათ პანტოგრაფის სავარცელი ორ-სამ კვირას ძლიერ სძღებდა, ახლა კი გამძლეობა გაბანგრძლივდა. იგი უკვე ოთხ თვეა ეშალლოატაციაშია და შესამჩნევი გაციეთა როდი იწყობა.

მთავარი მექანიკური სახელოსნოს სამჭიდლო საამქროში ინჟ. კ. ხონწარიძემ „ვილის“ ფირმის ვენტილატორი შესცვალა გაუმჯობესებული ვენტილატორით. რომლის ექსპლატაციობა იმაში მდგომარეობს, რომ ელექტროენერგიისა და მასთან დაკავშირებული ფერმის მუშაკებმა პირადი ინიციატივით დაამზადეს და საზამთრო ბინებში მიზიდეს 2.500 ცენტნერი თივა, შერჩეულია შესაფერისი ბინები და უზრუნველყოფილია პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება.

მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები შეუწყნარებელ გულდამშვიდებას იჩენენ ამ საქმეში. სოფ. რიყის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. ცაავა), სოფ. ზედაწერის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. დიდიშვილი) ნელი ტემპით სწარმოებს ბინების მშენებლობა, სოფელ კოროკის 5 დეკემბრის სახელობს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ქობალიამ კი იმდენიც ვერ მოახერხა, რომ მეღორეობის ფერმისათვის შესაფერისი ბინა გამოენახა. აქ ცუდად უვლიან ნამატს, არც საკვები აქვთ საკმაო რაოდენობით მომარაგებული. ასეთივე მდგომარეობაა სოფ. ჯიხასკარის ანდრეევის სახელობის (თავმჯდომარე ტ. შენგელია), სოფ. ერგეტის მოლოტოვის სახელობის (თავმჯდომარე ვ. შეროზია), სოფ. ანაკლიის ლენინის სახელობის (თავმჯდომარე მ. საჯაია) კოლმეურნეობებში.

როდემდის გაგრძელდება ეს მდგომარეობა აღნიშნულ კოლმეურნეობებში? რას ფიქრობენ მათი ხელმძღვანელები?

ხ. ბერულავა

შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი შემოწმება ბელადის სახელობის ქარხანაში

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის დირექციამ, პარტიულმა ორგანიზაციამ და საქარხნო კომიტეტმა (ქარხნის დირექტორი წევის სამსახურის მესამე რანგის ინჟინერალ-დირექტორი ამხ. დ. ჭიჭინაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ნიფარიძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. ეგორაშვილი) გადასწყვიტეს 1944 წლის საწარმოო ამოცანათა შესრულებისათვის უკეთ მოსამზადებლად 20 დეკემბრიდან 1944 წლის 1 იანვრამდე ჩაატარონ შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი შემოწმება მთელს ქარხანაში.

შემოწმებას უხელმძღვანელებს საქარხნო შემმოწმებელი კომისია. შემმოწმებელი კომისიები გამოყოფილია ცალკე საამქროებთანაც. მთავარი ყურადღება მიექცევა ადრეული მიზანშეწონილად განაწილებას, მანქანა-მოწყობილობათა სრული სიმძლავრით გამოყენებას, მუშაობის ნაკადური მეთოდზე გადასვლისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. შემოწმების მთავარი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მუშები დაყენონ იქ, სადაც მათი შრომის ნაყოფიერება უფრო მაღალი იქნება და სადაც ისა თუ ის მუშა უფრო ადვილად შესძლებს სრული დატვირთვით და მთელი სიმძლავრის გამოყენებით ამუშაოს მანქანა-მოწყობილობა.

შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი შემოწმებისას საამქროებსა, განყოფილებებსა და ბრიგადებში გაიმართება მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საწარმოო თათბირები და შეგროვდენ მუშათა წინადადებებს შრომის უკეთესად მოწყობის საკითხებზე.



სურათზე: ხაშურელი რკინიგზელები — პ. თავაძე, ხ. ჭიკოიძე, ი. ბანეცაძე, ხ. ხუციროვი და თ. საპოფნიკოვი, მათ მიერ გაკეთებულ ვაგონ-ელექტროსადგურთან, რომელიც ეგზავნება ერთ-ერთ განთავისუფლებულ გზას. ფოტო. რ. აკოფოვისა

100 ათასი ფომი განთავისუფლებული ქალაქების ბიბლიოთეკებისათვის

ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომთან არსებულ ლიტერატურის სახელმწიფო ფონდს გადასცა 100 ათასზე მეტი ტომი პოლიტიკური, მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურა გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ ქალაქებში ბიბლიოთეკების აღსადგენად (საკდესი).

პროფ. ა. ერუსალიმსკი

ორსახიანი იანუსის პოლიტიკა

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ, როდესაც ჰიტლერის ვასალებს ეჩვენებოდათ, რომ გერმანია მთელი ევროპის მბრძანებელი ხდებოდა, თითოეული მათგანი ცდილობდა ერთმანეთისათვის ეჯობნა თავისი ერთგულების გამოხატვაში, ყოველი მათგანი ხალისით აწვდიდა მას საზარბაზნე ხორცს, სუფლათსა და სატრატეგიულ ნედლეულს და წინასწარ ოცნებობდა, თუ რა „სასიცოცხლო სივრცეს“ მიიღებდა და რა ადგილს დაიკავებდა გერმანულ-ფაშისტურ „ახალ წესრიგში“. ახლა დრო შეიცვალა და, რაკი ბეგნეს, თუ რა საფრთხე უახლოვდებათ, ჰიტლერის ვასალები ცდილობენ შეჰქმნან შთაბეჭდილება, რომ ისინი სრულებითაც არ არიან აღტაცებულნი თავისი გერმანელი მბრძანებლით, რომ ისინი თავისი ნებით როდი არიან ჩამბულნი მის ეტლში და რომ, თუ ეს ეტლი დაიმსხვრევა, მათ სურთ შემდეგ თავისი გზით იარონ. ამასთან ზოგიერთი მათგანი იმედოვნებს, რომ, თუ მათ სულ უკანასკნელ მომენტში მოასწრეს გააკეთონ განცხადება ომიდან გასვლის შესახებ და თავი შეაფარეს „ნეიტრალიტეტის“ ფრთის ქვეშ, მაშინ მათი ნამდვილი როლი ჰიტლერის ყაჩაღურ ლაშქრობაში შეუმჩნეველი დარჩება ამ მიზნით ისინი ცდილობენ ომის ახლანდელ ეტაპზე წარმოსდგენენ ორსახიანი იანუსის როლში. ცხადია, რომ ეს პოლიტიკური კამუფლაჟია. ჩვეულებრივად მას შაშინ იყენებენ, როდესაც სამხედრო კრახის გარდუვალობა სრულად იჩენს თავს. სწორედ შაშინ ჩნდება იმის ცდები, რომ პოლიტიკური შეთოდებით შეასუსტონ სტრატეგიული გაკოტრებისა და სამხედრო დამარცხების შედეგები

ისტორიამ ამის საკმაოდ ბევრი მაგალითი იცის პირველ მსოფლიო ომში გერმანიის სარდლობას თითქმის უკანასკნელ მომენტამდე ჰქონდა გამარჯვების იმედი, თუმცა ყოველწლობით — ორ ფრონტზე ომია პირობებში — ობიექტური საფუძვლები გამარჯვებისათვის უფრო და უფრო ნაკლები ხდებოდა. მხოლოდ 1918 წლის შემოდგომაზე, დასავლეთში გაზაოფხულისა და ზაფხულის შეტევის მარცხით დამთავრების შემდეგ, მიხვდა გერმანიის სარდლობა, რომ ომი საბოლოოდ წაგებული იყო. ნაჩქარევად შექმნილმა „პრუსაგანდის კომისიამ“ გერმანია წალეკა სიტყვებით გამარჯვების შესახებ, მაშინ როდესაც ჰინდენბურგი და ლუდენდორფი უკვე მხოლოდ იმაზეა ფიქრობდნენ, მოახერხებდნენ თუ არა სრული განადგურების თავიდან აცილებას. ბულგარეთის კაპიტულაციამ საბოლოოდ გაუტეხა მათ გული. მათ მაშინვე მოითხოვეს ჩამოყალიბებულიყო ახალი მთავრობა, რომელიც შეჰქმნიდა ომის შთაბეჭდილებას, რომ შაფა იყო ზავის დასადებად. მთავრობის შეცვლას უნდა დაეყოლა გერმანიის სამხედრო მდგომარეობა, რომელიც ლუდენდორფმა მაშინ შემდეგი სიტყვებით განსაზღვრა: „დღეს ჯარები კიდევ ებრძოლებიან, ხოლო რა იქნება ხვალ — ამის გათვალისწინება შეუძლებელია“. არჩევანი ხვდა მაქს ბადენელს. ოდესღაც მან რამდენიმე ბუნდოვანი სიტყვა სთქვა „ადამიანის სინიდისის შესახებ“. ეს საკმარისი იყო, რომ მისთვის ფართო რეკლამა გაეკეთებინათ, როგორც დემოკრატისა და პაციფისტისათვის. ნამდვილად კი მაქს ბადენელს, საკუთარი აღიარებით, ეზიზღებოდა დემოკრატია და რაიხსტაგის ნახევრადულ რეზოლუციასაც კი ზავის შესახებ „შიშისა და ბერლინური უსაქმურობის საზიზღარი პროდუქტი“ უწოდა. ერთი სიტყვით, პოლიტიკური კამუფლაჟისათვის იგი, როგორც იტყვიან, შესაფერი ადამიანი იყო შესაფერ ადგილზე.

აგერ უკვე რამდენიმე თვეა უცხოეთის პრესაში ვრცელდება ხმები ომის შესახებ, თითქოს ჰიტლერულ გერმანიაშიც ლაპარაკია „ხელმძღვანელობის შეცვლაზე“. ჯერ ლაპარაკობდნენ „ჰიტლერის ავადმყოფობაზე“, გერინგის ძალაუფლების გაძლიერებაზე, შემდეგ იმაზე, რომ შესაძლოა შეიქმნას „ტროიმვირატი“ გერინგის, გენერალ კეიტელისა და ადმირალ დენიცის შემადგენლობით. ამ გეგმებს ხსნიდნენ იმისაკენ მისწრაფებით, რომ ჰიტლერის დაცემის შემთხვევაში შეინარჩუნონ ნაცისტური პარტია, როგორც ფასადი, რომელიც დაიფარავს გერმანიის ნამდვილ მბრძანებლებს. ამავე დროს ჰიტლერელები ავრცელებენ საზღვარგარეთ ვერსიებს იმის შესახებ, რომ შესაძლებელია შეიქმნას „დირექტორია“ ექვსი კაცის (სამი სამხედროს და სამი სამოქალაქოს) შემადგენლობით, რომ შესაძლებელია ძალაუფლება გადაეცეს „კვადრუმვირატს“ („ოთხეულს“) „ზომიერი“ ჰიტლერელებისა და გენერალების შემადგენლობით, ან იმის შესახებ, რომ მომავალში ხელმძღვანელი როლი ექნება რაიხსბანკის ყოფილ დირექტორ შახტს, რომელიც თითქოს შეიძლება უფრო შესაფერ გაგურად ეჩვენოთ, რათა გერმანიის წარმომადგენელი გახდეს გარეშე მსოფლიოს წინაშე.

ეჭვს გარეშეა, რომ გერმანიის არმიის დამარცხებებმა ხელიოზული არევ-დარევა გამოიწვია ჰიტლერელთა მმართველ ხროვაში. მაგრამ საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ხროვა ბრძოლას შესწყვეტს უეცრესად გაფთრებული წინააღმდეგობის გაუწევლად. მოახლოებული კატასტროფის წინაშე იგი მაინც ცდილობს თავი დაიზღვიოს და გამონახოს პოლიტიკური კამუფლაჟის შესაძლო ვარიანტები. ამ მიზნით გამალებით ვრცელდებოდა ყოველნაირი ხმები ომის შესახებ, რომ შესაძლებელია „ხელმძღვანელობის შეცვლა“. ამ მხრივ გერმანიის პროპაგანდამ განსაკუთრებით გააჩაღა საქმიანობა სმი საგარეო საქმეთა მინისტრის ოსკოვის კონფერენციის წინ. ჰიტლერელები აშკარად იმედოვნებდნენ, რომ ამგვარი პროპაგანდა შეაღლომაში შეიყვანდა მოკავშირეებს და შეასუსტებდა მათს სამხედრო და პოლიტიკურ თანამშრომლობას. ამავე დროს, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ლუდენდორფის ხროვის მსგავსად, გერმანიის ახლანდელი მმართველნიც ცდილობენ დამარცხების შემთხვევაში შეინარჩუნონ კაბინეტი ახალი ომის მოსამზადებლად.

ჰიტლერის ვასალები კიდევ უფრო მეტად სარგებლობენ პოლიტიკური კამუფლაჟით. ამ მხრივ ვირტუოზებად შეიძ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

ძლევის ქედი

პოემა

თენდება. ქედებს ცეცხლი ეღება,
ჩუმად სტოვებენ მთებს ჩიროები,
ლრუბლების ზღვაში დაღგენ გედებად
კავკასიონის კენწეროები.

თეთრი ჩაიცვეს მთლად სამოსელი,
ამოიკეცეს თოვლის კალთები
და დასხდენ, როგორც თარგამოსები
კავკასიონის გოლიათები.

ჩაშტერებოდენ შავბნელ ხეობებს,
მარადისობის ფიქრს არ იშლიდენ,
არ ინძრეოდენ, არ ირხეოდენ
და ღვთაებრივი იდგა სიმშვიდე.

უცებ ქუხილი გაისმა მეხთა,
ხევიდან ხევმა შეჰქნა გრიალი,
ავარდა კლდე და ჰაერში შეხტა
ფერდგაგლეჯილი რქებჯაგნიანი.

ისევ დიდა ძრწა და ხოცარ
ნაპრალზე, თითქო ლოდი დაქანდა,
ცოვი ტუჩებით მიწას აკოცა,
და სისხლით მორწყო თოვლი ქათქათა.

შავეთს წაუძღვა შავი აჩრდილი,
იწვალა, მაგრამ ვეღარ მობრუნდა,
მკვდარ ირემს დარჩა ენა გაჩრილი,
ალბად სათქმელი ჰქონდა ქორწილას.

აქ დღემდი სისხლი არა სდიოდა,
ახლა პირველად აქაც ომია...
ლაღი ირემი კავკასიონთან,
ჯიხვის ბილიკზე ნაღმს წაწყდომია.

გაცივდა. სისხლის ორთქლში ცახცახით
ნესტოებს წითლად ალარ ბერავდა,
მკვდარ ირემს ხელში თოფ-იარაღით
თავს წამოადგა გუნდი მზვერავთა.

დაგლეჯილს ალარ აჩნდა ფერდები,
სისხლით მოხვრილი იწვა გულჩრელი...
ერთმა სთქვა: „ირემს სადღა შეეხვიდით,
როგორ დავტოვოთ მწვად აუჩრელი!“

ვის არ მოუნდეს ყოფნა ნადიმად,
მაგრამ სხვა ადგათ ცეცხლი მეომრებს
და თუმც მოსწყვიტათ თვალი ნადირმა,
მაინც ხელი ჰკრეს ერთიმეორეს.

✤ ✤ ✤

ჯერ კიდევ დარჩა თბილისი ჩუმად,
ჯერ ფრონტის ხუთქვა არ განუცდია,
თუმც თოფის კვამლმა და წამლის ხუნმა
უკვე თბილისის ცასაც უწია.

სწყდებოდა წამი წამს თითეული,
დამძიმებული წყნარის ჩურჩულით,
იყო თბილისი გაფითრებული,
ითხეფრ შუშა ფრთამიყუჟული.

არ ეცემოდა ოჭრისფერ ხვეტად
ქუჩებზე შუქი, როგორც მანამდის,
ლამით შინ ყოფნა გაძნელდა მეტად,
რადგან დარაბებს მაგრად ვამანავდით.

ერთ ღამეს მოვრჩი მარტო ხეტიალს,
გზა რომ ხახლამდის დამრჩა პატარა,
უკნიდან ვიღაც წამომეწია
და თვალზე ხელი გადამაფარა.

„ვინ ვარო“ მკითხა, ხელის ფათურით
ავყევი ორივ ხელის ნეკიდან,
მხარეზე ჰქონდა გოლიათური
და ავტომატი გულთან ეკიდა.

ახე ვერ მივხვდი მის ვინაობას,
მერე წინიდან გადამეღობა,
ამხსნა თვალი და დიდხნის ნაომარს
პირისპირ შევხვდი ხიყრმის მეგობარს.

ერთი შეეხედე და გაბედულად
გადავეხვიე, რაცა ვიცანი,
მეგობარს ჩემსას ეცვა მხედრულად
და გვარდიელის ჰქონდა ნიშანი.

— გიორგი, კიდევ ცოცხალი ბნახე!
(გიორგი იყო მისი სახელი)
შევედით შინ და შუქს ბეენდა ხახე
ჩემს ჭერს ათასი ჭირის მნახველი.

დაჯდა. დალლილი იყო ძალიან,
დასვრილი ჰქონდა მტვრისგან კალთები.
— დიდხანს დარჩები?
— სადა მცალია,
კავკავიხაკენ მივემართები.

მოვეს ორიოდ საათის ვადით,
მინდოდა შენი ნახვაც ერთთავად,
ჩვენი ნაწილი ამალამ ბადის
მტრისთვის კლდეკარის ჩასაკეტავად.
— ჩავკეტავთ?

ზვავი მთებთან შემდგარი
შორითვე გვზარავს საშინელებით,
თუ ვერ შევკარით ყველა კლდეკარი
სამარადისოდ გავთიელებით.

ჯერ ახე ახლო არასდროს მდგარან,
არ ვამბობ შიშით, არც საიგავოთ,
ერთი ძლიერი ნახტომი კმარა,
მიწის პირიდან რომ აღვიგავოთ.

— ალბად გვექნება ბრძოლა მედგარი,
და განსაცდელიც დიდი მოგველის!.
დავდუმდით ერთხანს და უეცარი
სიჩუმე დადგა შიშის მომგვრელი.

ახე ვისხედით შეცრეტანს უბრად,
თვალს ვუსწორებდით განსაცდელს ფიქრით..
დასახლისმა გაშალა სუფრა
და დავილოცეთ პირველი ჭიქით.

— მკვდარი გვეგონე, მიმძიმს გამხელა,
გამოგიტირეთ ძმაო, მრავალჯერ.
მადლობა ღმერთს, რომ არ ხარ ცალხელა,
არ დაურდნობიხარ მხრებით ყავარჯენს.

—ძალის ხორცი მაქვს, ყველაფერს უძლებს,
ასჯერ რომ დამჭრან ასჯერ ხორცდება,
თუ კვლავ ვნახავდი თბილისის ქუჩებს,
ვერც გავბედავდი ასეთ ოცნებას.

— ომში წახველ და დედაც ვერ ნახე,
ახლობლებს ვერც კი გამოგვეხალმე,
წერილს არ გვწერდი, ახე ხელდახელ
უკვე დამდგარა წელი მესამე.

— ბო, ღედას ბევრი ცრემლი ულვრია,
უკვე ჩაუცვამს ჩემზე შავები,
ათი ბარათიც არ მიუღია,
მას შემდეგ, რაც მე ომში ჩავები.

ნუ გამამტყუნებ, ღედა ტკბილია,
მაგრამ ვინც ფრონტზე დაბყო ამდენი.
იცის, რა ტანჯვაც მე გამივლია,
ფიქრადაც ძნელი წარმოსადგენი.

ცხარე ბრძოლაში ბევრჯერ ვიყავი,
გადავტანე ბევრი ავდარი,
მტერი ავი და განუკითხავი,
წინ მოიწევდა, როგორც აფთარი.

უკან ვიხევდით, ჩვენი ნაწილი
ბრძოლებში მთავარ ძალებს მოცილდა,
არც შარა დაგვრჩა, ალარც გზაწვრილი
გამოსახვლელი გარემოცვიდან.

არ იყო ბინა, არ გვქონდა პური,
ტყვიაწამალიც დაგვრჩა მცირედი,
მაინც არ დავთმეთ ცხოვრება ძმური.
და გვამხნევებდა რალაც იმედი.

ყველა ტომის და ყველა ჯასაკის,
თავს ვინახავდით ერთი მეორით,
მე იქ ვიწამე ძმობა კაზაკის
და გამტანობა რუსი მეომრის.

ოურშე ძმობილი მაინც სხვა არი,
ქირში თუ გახლავს გევხარ გოლიათს,
შენი ხამშობლო, შენი სახლკარი,
უცხო მხარეშიც შენთან გგონია.

სამშობლოსათვის სისხლის მხარეველი,
სამი ვიყავით ერთად ღელემე,
ერთი—მეგრელი, ერთი—რაჭველი,
ერთიც—ქართველი ღიჯა მესამე.

ზღაბრად არ თქმულა ძმობა ისეთი,
ჩვენ რომ ერთმანეთს ვძმობდით ერთგულად,
და წინ წავიდენ, გასწიეს ზევით,
მზეს მწვერვალებზე ენთო ხანძარი,
შორს ქვემეხები ჰქუხდენ და ხევი
იმეორებდა ეხოს ზანზარით.

—

აქ ქვემეხები არასდროს მდგარა,
ვინ იფიქრებდა ამ საოცრებას!
რიდით უცქერდენ მყინვარებს მარად,
ვით მიუწდომელ კალთა ოცნებას.

სიზმრად ხედავდენ, ვით მზეთუნახავს,
ოღონო ხელებს შორით იწვდიდენ,
ახლა უთვალავ ფეხს შეულახავს
ქალწულებრივი თოვლის სიწმინდე.

მყინვარებს, კალთა ხმას მიუჩვევლებს,
გუგუნი გააქვთ ზარის დამცემი
და გვანან თოვლში ჩიტის ბუდეებს
ნაფეხურები ჯარისკაცების.

აქ გორგასლანის შემდეგ არავის
ალარ დაუდგამს ფეხი ზღაპრადაც,
ბეჭა-ქუხილით გულშემზარავით,
შემოდებია ცეცხლი ნაპრალთა.

ალარც მთა არი, ალარც ხევი,
მშვიდად, ზეცამაც იწყო ზანზარი,
თეთრ მთებს ბარიდან დაჯახებია
ლითონის ზვავი უზარმაზარი.

დაჯახებია, კლდედ დახვედრია
კავკასიონი მხნე და მალალი,
ისევ ამდგარა, თუმც თმა თეთრია,
ისევ აუხსამს ჭარმაგს ფარხმალი.

და ვით ჩვენება ძველთა ხევსურთა,
გამამპობელი ორად ურჩხულის,
კავკასიონი ცეცხლში შეეურდა,
შუბგაწვდილი და ფარდაბლეჯული!

—

გზა გადმოთელა ოფთარმა შორი,
შავმა ვეშაპმა ფრთალრუბლიანმა,
ვოლგაზე რიხხვით ამართა ტორი,
თვალი დარიალს დაუბრიალა.

ორი მდინარე ჰქუხდა ზღაპრული,
და ქვეყნის ბედი წყდებოდა ორგან.
მთელი მსოფლიო სულგანაბული
მიჩერებოდა თერგსა და ვოლგას.

✤ ✤ ✤

ალამოობით ერთად ვისხედით
და გავძახოდით ბნელში „ქვედრულას“.

—

იყო სიმშილი და განსაცდელი,
უიმედობა სტეხდა გულრილთაც,
ალარც წერილი, ალარც საქმელი,
არ მოგვდიოდა ჩვენი ზურგიდან.

კაცი წყურვილს და სიმშილსაც უძლებს,
წყალს ეშოვნიან, პურს მოძებნიან,
მაგრამ ქვეყნიდან მოწყვეტა უცებ,
თურმე სიკვდილზე უფრო ძნელია.

არ ჩანდა შველა, წახდა გუნება,
ძალლური ყოფა ძალზე მოგვწყინდა,
და ერთხელ იმედდაკარგულებმა,
გამოსვლა ვცადეთ გარემოცვიდან.

არ მოელოდა მტერი ზვიადი,
თუ შეგებედავდით ახე თავხედად,
სროლა ასტეხა ჯერ ეშვიათი,
მერე თანდათან უფრო გახელდა.

გაცოფებული ნაღმებს გვაყრიდა,
გვდევდა ბრძოლით და ტყვია გვაწვიმა.
მაგრამ გამოსვლა მტრების ალყიდან,
მაინც მოახწრო დიდმა ნაწილმა.

შორს დაგვრჩა ტყვიის კორიანტელი,
სამშვიდობომდის ბევრი ვეწამეთ,
ბოლოს კვლავ შევხვდით ორი ქართველი,
მაგრამ ალარსად იყო მესამე.

ალარსად იყო ის, ვინც სიმტკიცით
რიონის ლოდებს გავდა ახოვნებს.
რაჭველი ბიჭი!
სადმე ვინ იცის,
იქნებ საკორტნად დარჩათ ყვავყორნებს.

ვინ იცის გზირმა თავი სად დახდო,
სად შეასრულა ფიცი მხედრულად,
შემდეგ, ამ დღიდან ჩვენ ორს არასდროს,
არ გვიმღერია მისი „ქვედრულა“.

—

მინდორს ვერიდეთ, ტყეს შევეხამეთ,
დამსკდარი გვჭონდა სიცხით ბაგენი,
ახე ვიარეთ ექვსი დღე-ღამე
და ჩვენიანებს ძლივს მივაგენით.

ჯერ ვერც კი გვიცნეს ლამის სტუმარნი,
დაკაწრულნი და გაუპარსავნი,
ჩვენი ნათქვამი და ნაუბარი
ეჩვენათ სიზმრად ნაუბარსავით.

—

არ გიკვირს ძმაო, ჩემი გაძლების?
გამიგეს, წერილს მე ვერ მოგწერდით,
ახე ვცხოვრობდით ჯარისკაცები,
თუმც ვერ გადმოგეც ვერც მეოცედი.

ეს, რაც გიამბე, ჩათვალე ვითომ
მღელვარე ზღვაში ერთი წვეთია,
მე შეებულება უარეყავ თვითონ,
ბრძოლა წამით არ შემიწყვეტია.

დასვენებისას ხანდახან დაღლილთ,
მაგრამ ანთებულთ ბრძოლის ყინითა,
გვაგონდებოდა ჩვენ ჩვენი ხახლი
და მოგელოდით წერილს შინიდან.

წევხარ და დების წერილს დაკერი,
მშვიდდები მაგრამ ხარ მოწყენილი,
ფრონტზე სხვა არი დედის ნაწერი,
უფრო სხვა არი ხატრფოს წერილი.

იგი სხვაგვარად აღგვაფრთოვანებს,
სულში სხვა შუქი შემოანათებს...
ჩემთვისაც სწერდა ხელი მთრთოლვარე,
მეც ვღებულობდი ხატრფოს ბარათებს...“

—

ეს სთქვა გიორგიმ და მძიმე ოხვრით,
შუბლშეჭმუხვნილმა წარბი აბყარა.
—ვერც ტყვია მომკლავს, ვერც ჯავრი
მომხრის,
რადგან ჯერ გული მთლად არ გამტყდარა.

რა დარდი დამძლევს, რა კეშანი,
მასზე ოცნებას რამ დამაცილოს,
სწორედ ომის წინ მას გავეცანი
რაღაც შემთხვევით და სახაცილოდ.

მოსკოვში მოხდა. ხად იყო იმ დღეს
რაც მოედანზე ხალხი მოგროვდა,
ვინ დაგიღეკდა ივნისის სიცხეს
თამაში ჰქონდა თბილისს მოსკოვთან.

გზაზ მოიკლეკდა ძლიერი მკერდით
ხალხი ურიცხვი, ვით ტყის ფურცელი,
იმ დღეს მოსკოვში ქართველი ერთიც
არ დარჩენილა იქ მოუსვლელი.

—ჩვენს გუნდს კავშირში არა ბყავს სწორი!..
იყვნენ განსჯაში და ერთ კამათში,
მეც ვიჯიქ ქართველ სტუდენტთა შორის
მეც მაღლევებდა მათებრ თამაში.

—

ორი გოგონა იჯდა ჩვენს გვერდით.
პირველად არც კი შეშიჩნევია,
ბიჭებში ატყდა ჩურჩული ერთი,
და ახალგაზრდებს როგორც ხჩვევია.

ყველამ შეხწყვიტა სხვაზე კამათი
და თუ ესმოდათ მათაც ქართული,
არ უფიქრიათ, მათ მისამართით
იწყეს ხუმრობა ახალგაზრდული,

ხუმრობა მათი არ მომეწონა,
მათი სიცილი და ხაუბარი,
ყურს თუ უგდებენ ალარ ეგონათ
და ალარავინ დარჩა მდუმარი.

შევხედე ქალებს, მომხედეს მათაც,
შევხედე, მაგრამ გავქვავდი უცებ,
ისეც არ მჭონდა ხუმრობის მადა,
მთლად მიეყინა ღიმილი ტუჩებს.

მათ შორის ერთი ჩვენებას გავდა.
ზღაპრიდან მოსულ უცხო მშვენება.
ხელოურები ხშირ დალალ-კავთა
მხრებზე ეყარა ბურბუშელებად.

არ გავდა ქართველს, თმა ჰქონდა ქერა,
სახეშიც ცოტა ჰქონდა ქართული,
არ აშორებდა მოედანს ცქერას,
თითქოს თამაშით იყო გართული.

მაგრამ ბიჭები როდი იშლიდენ,
საზღვარს გადასცდენ გადაჭარბებით.
ბოლოს დაკარგა მანაც სიმშვიდე,
ნელ-ნელა შეჰკრა მკაცრად წარბები.

ცდილობდა, მაგრამ ვერ დარჩა დიდხანს
გაჩუმებული და ფერაცცველი,
მერე უეცრად ქართულად მკითხა:
„რა გვარიაო ის ფეხბურთელი“,

„გესმით, ქართულად რალაც ჰკითხაო!“
შერცხვათ ბიჭებს და თავი დახარეს,
მერე წამოდგენ და სათითოდ
ერთმანეთს უხმოდ გაჰყვენ ხხვა მხარეს.

ჩუმად მინდოდა მეც წამოდგომა,
მწვავდა სირცხვილის ალი წითელი,
იგრძნო, იბრუნა ქერა გოგომაც
სახე, მღიმარი და მიმზიდველი.

მიმძიმდა ახე ჯდომა. უშიშარს
ამეკხო უცნობ შიშით სხეული,
ისე წამოვდეკ, არც შეუნიშნავს,
უხმოდ წამოველ სირცხვილეული.

ალარ მახსოვდა ვაჟკაცს თავბედი,
მთვრალივით ვიუავ, რეტდასხმულს ვგვანდი,
სადაც გავჩერდი, სადაც წავედი,
თან მსდევდა ქერა გოგონას ლანდი.

არ დამეძინა, დაქანცულს ლამით,
ვიწეკ, ვშფოთავდ, როგორც დაჭრილი,
და თავს როგორც კი წავდები წამით,
წინ მედგა ქერა გოგოს აჩრდილი:

ვარდებში იყო, მწვევდა სახელოს,
მეძახდა: „დარჩი, ალარ გემდური!“
ხან ჩურჩულებდა: „რატომ წახველო“,
მიცქერდა ხვეწნით და საყვედურით.

—

გახსოვს ხტუდენტთა ქალაქი ჩვენი?
რამ დამავიწყოს სანამ ვიქნები!..
გათენებისას, როგორის ლხენით
გამოვდიოდით ხელში წიგნებით.

ან წიგნთსაცავი ლენინის!. ალბათ
ისიც ყოველთვის მემახსოვრება,
როგორ გარბოდენ დღეები სწრაფად,
რა კარგი იყო ჩვენი ცხოვრება.

ვის არ ვხვდებოდით წიგნის თაროსთან,
რუსებს, ყირგიზებს, ესტებს, ეზიდებს...
წიგნთსაცავისკენ მიგვიხაროდა,
როგორც ხკოლისკენ ბეჯით შეგირდებს.

იმ დღესაც მიველ. კუთხეში მჯდარი,
თავაუდებლად დავცქერდი ფურცლებს,
მოულოდნელად გაილო კარი
და შემოვიდა დარაბაზში უცებ,

ის, ვისი ლანდიც წინ მედგა, როცა
წიგნს ჩავყურებდი და ფურცლებს ვშლიდი,
თითქო შეცდომით, სალამი მომცა
და ტუჩზე შერჩა ღიმილი მშვიდი.

მეც მივეხალმე, დავფარე უმალ
ღელვა და შვება ვიგრძენ ნამდვილი.
პირდაპირ, როგორც დაბარებულმა,
მან დაიკავა ჩემს წინ ადგილი.

უეცრად მოხდა ვით ხაოცრება,
თვალი და გული უცებ აეთო...
შემდეგ შეხედრა გვექცა ოცნებად.
და ველარ ვძლებდით უერთმანეთოდ.

ახე დაიწყო დაახლოება,
ხხვა ფიქრი ალარ მჭონდა რისამე,
მე მისით მივხვდი რაა ცხოვრება,
ქვეყნის სიკეთე მისით ვიწამე.

თითქო მზის ხხივი დამეცა ციდან,
გულში ჩამრჩა და ველარ ვმალავდ.
თუ სიყვარული კაცს ახე ცვლიდა,
ვერ ვიფიქრებდი ძმაო, მანამდის.

მაგრამ ილბალმა არც მე დამინდო,
რალას ვაგრძელებ, შენც მოგწყინდება.

✤ ✤ ✤

თბილისს მზრები გაუშლია,
შეჰფენია მთათა კალთებს,
საქართველოს დედაქალაქს
სავსე მთვარე დაჰქათქათებს.

ჩაბნელებულ ფანჯრებიდან
ხხივი არ კრთის პაწაწინაც,
ვარსკვლავებით სავსე ცის ქვეშ,
შუქგამორთულ ქალაქს ხძინავს.

ჭრის ნიავი, კვალს არ აჩენს,
მთვარეს ლრუბლებს არ უჩრდილებს.
ხძინავთ დედებს, ხძინავთ ბავშვებს
და აკვნებში ჩაკრულ ჩვილებს.

ხძინავს თბილისს, ყურს ვინ უგდებს
მტკვრის ოხვრას და ფარულ შრიალს.
გორგასლანის მოკლულ ხოხობს
ცაზე ფრთები გაუშლია.

ხძინავს თბილისს, ათასი წლის
განსაცდელი ეყო დარდად...
ხძინავს თბილისს, მაგრამ უცებ
ვინ ყაჩალი შემოვარდა?!

რად აყვირდენ ხაყვირები,
ჩამალულნი ჩანიღლუალდ,
თითქო დანა ერთად დაჰკრეს,
ყველამ ერთად დაიღმუვლა.

გავდა დევთა შეცხადებას,
ცაზე ჩრდილთა მისარხევლად,
ნამქერივით დატრიალდა
უთვალავი ცისარტყელა.

დატრიალდენ ხატევრებად,
მისწვდენ ზეცის ყველი კუთხე.
და ბოხი ხმით ქვემეხებმა
ოთხივ მხრიდან დაიქუხეს.

დედამიწა ინძრეოდა,
იმოდენა იდგა ზარი
და სოდომის ნგრევას გავდა
შემოდგომის ცის ზანზარი.

ქანაობდნენ ვარსკვლავები,
თითქო ქარვის ძმივებია...
დედაქალაქს, თბილის ქალაქს,
თურმე როდი ხძინებია.

თორნეს გავდა თბილისის ცა,
ბევდა ბნელს და ცეცხლსა ბურავდ.
მაშინ ლანდი გორგასლანის
წამოვიდა მცხეთის მხრიდან.

მოდიოდა და თბილისი
მოსძახოდა გაშლილ მხრებით:
„გავძელ, ხუთმეტ საუკუნეს,
წუთუ ახლა აღვიფხვრები?!“

გმირებს უხმო გორგასლანმა,
მთიდან ცამდის აიზიდა,
და სამახი არაგვილი
ერთად ადგა კრწანისიდან.

ადგენ, გმირებს ქვეყნის ჯავრი
ეცვათ ჯაჭვის პერანგებად,
და თბილისმა შორიდანვე
მათაც დარდი შეაგებათ:

„ბევრჯერ მლეწეს მონგოლებმა,
დამწვა ალამამადხანმა,
ნუთუ კიდევ, ნუთუ კიდევ
დავიქცევი ამალამაც?!

მე თბილისი მერქვა, მთხრიან
მაგრამ კი ვერ გამაცივეს!..“
უუბლეკრული ბუმბერაზი
ჩუმად იდგა სამახივე.

უცებ შეკრთენ, დაინახეს:
თბილისის კარს რაზმი გაცდ.
აწყობილი ნაბიჯის ხმა
შემოესმათ ჯარისკაცთა.

ფეხის ხმაზე იფიქრებდი,
ქარს დიდ ტყეს აშრეალებს,
მიდიოდენ, მიჰყვებოდენ
ქვემეხებს და ჯავშნიანებს.

მიდიოდა შეჭურვილი
ლეგიონი შვიდიოდე,
საქართველოს ვაჟკაცები
ფრონტისაკენ მიდიოდენ.

აჩურჩულდენ აჩრდილები,
მოიხადეს წამით ქუდი,
და უშფოთვლად კრწანისისკენ
გაემართა გმირთა გუნდი.

შუქმა შორით მომჭროლავმა
ისნის კარი გადიარა—
ეს, მანქანა ნავთლუღის გზით
შემოვიდა ფრთაკრიალა.

მოჰქრის მგზავრი. გამჭრიახი
მისი თვალი ფოლადს გახვეს,
მხედრულ ქუდის ჩრდილი ფარავს
გასაოცრად ცოცხალ სახეს.

შემართება ვეფხის ჰქონდა,
გამოხედვა შევარდნული...
განგაშებდა კვლავ თბილისი,
იდგა ცერზე შემართული.

და მანქანა მტკვრის ნაპირას
გასრიალდა ცეცხლის თვალა,
წუთით თითქო ცა განათდა,
ყველაფერი შეიცვალა.

თბილისს ძალა შეემატა,
ფეხზე დადგა და ხმამაღლა
დაიძახა: „ჩამოვიდა,
ვინც ნამდვილად განმაახლა!“

გუგუნებდენ მთები, შუქით
მოხატულნი ათასფერად:
„ჩამოვიდა, ჩამოვიდა,
მტერს არ მიგვცემს გასათქერად!“

—

მშობელი ქვეყნის გადასარჩენად
ახე მოვიდა დიდი ქართველი,
და ხალართველომ იგრძნო მარჯვენა
ბელადის ნების გამომხატველი.

ახლოვდებოდენ შავი ლრუბლები,
მოვიდა ვმირი და გზა გვაჩვენა,
ახალი ქართლის თავისუფლების,
სტალინის აკვნის გადასარჩენად.

დასძრა რაზმები, გასდო ხიდები,
სიმხნე შთაბერა ათას არსენას,
ჩვენი წარსულის, ჩვენი დიდების
ჩვენი მომავლის გადასარჩენად.

კასპიის ზღვიდან მოკიდებულ,
ხელი შავ ზღვამდის გასწვდა მზრუნველ,
მთისკენ დაიძრა ჯორკიდებული
ტყვიაწამალი და საჭურველი.

სამხედრო გზაზე ჭროდენ ცხენები,
და მანქანები ახალთ ახალი,
არ იყო წუთი დრო შესვენების,
სწრაფად მისდევდა ალალს ალალი.

ჭეუხდენ მთები და კლდისებრ შაგარ
მტკიცედ შეკრული წმანდა ფიცითა
ბაქსანთან იდგა ჩვენი ლაშქარი,
იდგა მტკიცედ და ფეხს არ იცვლიდ

მათზე ოცნება ბევრს გაგვიტაცებს,
სულ რჩეულები იყვნენ ერთიანი,
მკერდით აპობდა ციცხლს კაციტაძე.
და გუგუნებდა მთებში გეთია.

და სხვაც რამდენი იყო ვინ დათვლის,
მკერდით სიკვდილის გადამლახველი!.
ჩვენი ხამშობლოს, ჩვენი ხამართლის
ხახელად დარჩა მათი ხახელი!..

ჩვენი ქორწილი შორს გადაიდო,
ომმა დასწრო ჩვენს ქორწინებას.

მაშინ ფოლადმა ცა დაბნელა,
მტერი ჩვენს მიწას გლეჯდა მხეცურად,
მე გავემართე მტრის შესახმელად,
ის თბილისისკენ გამოეშურა.

—

არაფრად მიჩნდა სიმძლავრე მტერთა
პირისპირ შეხლა ტყის ნადირებთან.
იგი წერილებს ხშირხშირად ჭწერდა
და ძნელ განსაცდელს ბიადგ-ლებდა.

მაგრამ გარს, როცა გვერტყა მოძულე,
ჩვენს თავზე ყორნებს ჰქონდათ ყაშყაში,
გზაგადაჭრილებს, გარემოცულებს,
ვინ მოგვიტანდა ფოსტას ალეაში.

შემდეგ...

წამომდგარს ვგავდი მიწიდან,
როცა გამოველ გარემოცვიდან,
ზოგი წყალსა და ხაჭმელს მიწვდიდა,
ზოგი ბალღივით ათჯერ მკოცნიდა.

მუხლთ ალარ ჰქონდათ სიმტკიცე ბოძთა,
ჩვენს ვერ ავწევდი ხელით ვერც ერთთან,
როგორც მივედი ვიკითხე ფოსტა,
მისგან მოწერილ წერილს ვეძებდი.

გადმომცეს, ალარ შემეძლო დაცდა,
ხელი გავკარ და გავხსენ ხელად,
შვიდი ბარათი დაცვივდა დახტად
და იყო ჩემი ნაწერი ყველა.

ყველას ეწერა ზემოდან ერთი:
(ასჯერ დავხედე ყველას თავიდან
ვერ მოენახათ ის, ვისაც ვწერდი.
ვერც ის გიგოთ სადით წავიდა.

დამარტყა თავში და ურუანტელი
ფრჩხილებსაც მისწვდა, დავრტიალდი
დავკარგე გონი, ჩაქრა ნათელი
და შემოაწვა თვალებს წყვდიადი...

გვიან გავიგე: ხმა დავარდნილა
ჩემი ხიკვდილის, მგონი ასჯერაც,
ხიზმრად თუ ცოცხალს გხედავს ადვილად
დედას და ხატრფოს ჭორის არ ხჯერა.

ის მაინც თურმე ყველას შეზარალდა,
ისე მწუხარე, თურმე ყოფილა...
შემდეგ... ვინ იცის, ჩემს ხაძებრადაც,
ჯარს გაყოლია ომში დობილად.

—

მთვრალს ვგავდი ომში, შმაგივით ვჩეხდი,
ხიხლში ხიმშვიდე ვნახე ერთგვარად,
რამდენჯერ ხიკვდილს პირისპირ შეეგვდი,
მაგრამ ახლოხაც ვერ გამეკარა.

მხდალი ტყვიაზე უფრო რბილია,
ფოლადზე უფრო მაგრობს გულადი,
რამდენი ბრძოლა გამომივლია,
რამდენჯერ ცეცხლში მარტო ვბრუნაგდი.

რამდენჯერ ხიკვდილს გადვურჩი ბეწვად,
რამდენჯერ მიხსნა დარტყმის ზოსწრებამ,
მე უშიშრობის ჯავშანი მეცვა
და მიფარავდა მახზე ოცნება.

შენც იცი, თავი არ მაქვს კვეხნისა,
ჩემს თავზე ვფიქრობ მუდამ ნაკლებად,
ხამშობლოს ნახვა რაკი მეღირსა,
თუნდ ხვალვე მომკლან არ მენაღვლება.

ხვალიდან ისევ ცეცხლში ვიქნები,
ძმაო, თუ ხვალვე მზე ჩამიქრება,
ჩემი გულისთქმა, ჩემი ფიქრები,
ჩემი ხამშობლოს შველა იქნება!“

სთქვა და შეჩყარა წარბები შავი
— შემოყოლია ხუფრამ ოქამდე,
როგორც გითხარი, ამალამ წაკალ
ნაწილისაკენ უნდა გავქანდე!“

გადამეხვია, დაეცა წამით
ჩრდილი სახეთა ჩვენთა მცინართა,
გააღო კარი და როგორც ლამის
უცხო ჩვენება გაუჩინარდა.

და კვლავ ჩამესმა ხმა უეცარი,
გარშემოხურულს ღამის ნისლებით:
„ან უნდა შევკრათ ყველა კლდეკარი
ან ხამუდამოთ გავისრისებით!“.

✤ ✤ ✤

ბრძოლის წინ შიში არ გვქონდა არც ერთს.
ჩვენ ფიცი დავდეთ აწვდილ ხიშტებით;
ან მტერს დავლეწავთ და უკუვაქცევთ,
ან ყველა ერთად გავიყლეტებით!

კვლავ მოიწევდა მტერი თავიდად,
თუმც შეიფერთხა და გაიყლეტა,
კავკასიის ქედს ცეცხლში ახვევდა,
ეძებდა გზებს და ცდას არ იშლიდა

ეკიდებოდა კლდეებზე ბაწრით,
უკვე ამხდარად სთვლიდა ოცნებას,
ეძებდა ბილიკს, ეძებდა გზაწვრილს.
ცდილობდა ქედზე გადმოცოცებას.

ხოცავდენ, ბყრიდენ მთების გადალმა,
იყო ხისხლისღვრა და ხელჩართული,
მომხდურნი ჩვენებს შეხვდენ ხმალდახმალ
და მასპინძლობა ნახეს ქართუჯი.

ჩაკაფეს, ველარ ახწევენ ხელებს
კავკასიონის შეხაბილწავად,
იმდენი ყლიტეს, იმდენი ცელეს,
ამბის მთხრობელიც ვერავინ წავა!..

—

არ დაცხრა მტერი, გვიტევდა მედგრად,
მაგრამ თანდათან ძალას კარგავდა
უკანასკნელი კამარა შეჰკრა,
ერთი ნახტომით გაჩნდა კავკავთან.

მაშინ მებით და ცეცხლით ძაუკთან,
უცებ ქარიშხლად მტერზე დამტყდარ
კავკასიონის ვეფხი გაუხდათ
და შეალეწა კლდეებს აფთარა.

ხიხლით შელება ტალღები თერგმა.
ქუხილით, მთების აზანზარებით,
სტალინის აზრმა, სტალინის გეგმამ
საიერიშოდ დასძრა ჯარები.

და თითქო მხარში შეუდგა ვეფხებს
სტალინი—დიდი მხედართმთავარი.
ხევდახეე მიმყვენ, ხმალდახმალ ჩეხე
ვაშას ძახილმა შესძრა მთაბარი.

იყო ზათქი და ზრიალი ზვავთა,
მიწა იძროდა მათი კვეთებით,
ცაში ვეშაპთა ზმორებს გავდა
შავად ტრიალი კვამლის ხვეტების.

ხისხლს ალბად ახე არხად ეწყიმა,
რაც ამ ხეობებს ახსოვთ გაჩენა...
მტერმა შემდრკალმა და დალეწალმა
კავკასიის ქედს ზურგი აჩვენა!

—

ლომებს გავდენ რუხი ძმები
კავკასიის მთების ძირას,
დაცემულმა თითო გმირმა
ათი მტერი შეიწირა.

მაშინ ბევრმა დახდო თავი,
მტრისგან ქვეყნის დასახსნელად,
ჩვენი ქვეყნის ბევრმა შვილმა
საქართველო ახახლა.

ხეობები, შარაგზების,
ბილიკების გაყოლებით,
სავსე იყო მტრის გვამებით,
ხვავებით და ყვავყორნებით.

—

ფრონტის ახლო, მომქმედ ლაშქრის
ლაზარეთი იყო ტყეში,
ყოველმხრიდან მთები ერტყ,
ვერ აღწევდა ტყვიის თქეში.

ხალამოხანს შევიარე,
ბევრჯერ მსურდა მათთან მისვლა.
წინ არჩილი—გიორგის ძმა,
შემეგება დარბაისლად.

ჩვენში ტოლი არა ბყავდა
ამ დოსტაქარს გასაოცარს,
საქართველოს ყველა კუთხე
მის ხელსა და დანას ლოცავს..

მომეგება, წინ წამიძღვა,
და კარვები დამატარა,
მერე მითხრა: „წერა მარტო
მეომრებზე არა კმარა.

იცი, აქაც რა ცეცხლია,
რა საქმეა მოსასწრები?!
დღე და ღამე ფეხზე დგანან
ჩემი გმირი დოსტაქრები.

ან რა გულით დგასვენებს
გმინვა, კვნესა, „ვაი დედა“..
ხომ უყურებ დაჭრილებიდ
ეზო როგორ გაიკედა!“

ეხა სთქვა და საკაცეებს
გააყოლა, თვალი მშვიდად.
მთელი გუნდი მოდიოდა
თეთრხალათა ქალი-შვილთა.

—აგერ, ხედავ ქერათმიანს?
ეგ ქართველი დობილია,
თურმე ყველა ომში იყო,
ყველა ფრონტი მოიელია.

შიში არ აქვს, თუგინდ ციდან
ტყვია ხეტყვად მოცვიოდეს,
ჩვენს ნაწილში ღეს მოვიდა
და დაჭრილი ოციოდე

უკვე ცეცხლის გრიგალიდან
სამშვიდობოს გაიყვანა.
აბა, შეხე რა გმირია,
ქალი არი ალვისტანა!

ეხეც კი თქვეს: თურმე ხატრფო
ფრონტზე სადღაც დაკარგვია,
მის ძებნაში ალარ უფრთხის,
ალარც სიკვდილს, ალარც ტკეიას!

გავვისწორდა, წუთით შედგა,
არჩილს თვალი მოაშტერა,
თეთრ მანდილ ქვეშ ხუჭუჭა ომ
მოუჩანდა ოდნავ ქერა.

უცებ ახე გაუბრწყინდა,
ღაეკიდა ცრემლი თვალთა,
თითქო სურდა რალაც ეთქვა,
მაგრამ წამხვე შეტრიალდა.

რას ნიშნავდა, რის თქმა სურდა,
ველარ მივხვდით ველარც ერთი,
მხრები უხმოდ ავიჩეჩეთ
და ერთმანეთს შევაცქერდით.

—

შუალამისას მისწყდა გრიალი,
ოდნავ მიყუჩდა ყველა დაჭრილი,
ღადუმებული და ფიქრიანი
ექიმებს შორის იჯდა არჩილი.

თეთრი ხალათით ხანდახან ლანდად
ჯაილვებდა ვინმე დობილი,
მაგრამ მათ შორის ალარსად ჩანდა
ქერა გოგონა ბედს მინდობილი.

ვერავინ წუხილს ველარ ფარავდა,
არავინ იყო თვალმოხუჭული,
ორი ექიმი შედგა კარავთან
ნაშუალამევს წყნარი ჩურჩულით.

ჩაესმა არჩილს, წამსვე გასძახა,
და შემოვიდენ შეგვიანებით,
ზედ ეტყობოდათ, ამბავს გასახარს
არ მოეყვანა სევდიანები.

— ნახეთ?—იკითხა არჩილმა კრძალვით
და თუმც არ

ძლევის ქედი

(დასასრული)

მძიმე ქვემეხთა ხმაც ახლობელი,
ტყვიის წვიმიც, ზუზუნიც ქართა,
ჩემთვის დაყრუდა ქვეყნად ყოველი,
უღონო მაჯის ჩურჩულის გარდა.

ის ხუხტად სცემდა ჩემს თავქვეშ, ყურთან,
ვით ხიო არხევს ფოთლებს ქურდულად,
და ნიკვდილამდის სულ ახე მსურდა,
ჩემს სიკვდილამდის, რომ ეჩურჩულა.

ხმა არ ისმოდა არსით მშველელთა,
ვკარგავდი სისხლს და ვკარგავდი იმედს,
ჩემს თავქვეშ მაჯის ფეთქვა შენელდა,
გაცივდა სულ და შეჩერდა მძიმედ.

და მივხვდი ცისკენ თვალმიმპყრობელი,
სუნთქვა შესწყვიტა უანლოესმა,

ჩემთვის დაყრუდა მაშინ ყოველი
და ჩემი გულის ძგერა მოესმა...

ამოიოხრა, თუ იგრძნო წუთით
შვება წუხილის გაზიარებით,
წაგვიღო ფიქრმა, კარგა ხანს ვსდუმდით,
და მთებს გავცქერდით ჯავრიანები.

იდგა ნათელი, როგორც მნათობი
კავკასიონი—ბროლის კუნძული,
იდგა ვეშაპის გულის გამპობი,
შუბგაწვდილი და ფარდაბლუჯული.

იდგა დილის მზით ალმოდებული,
თეთრად გაკრული ცაზე ხომალდად,
იდგა ვეფხვივით ატოტებული
და ზღვიდან ზღვამდი ნახტომს ზომავდა.

✻ ✻ ✻

წელმა სწრაფად გაიარა,
აგვცდა დიდი განსაცდელი,
დარჩა მძიმე მოგონებად
შემოდგომა შარშანდელი.

და მეორე შემოდგომამ
საქართველოს ბაღს და ვენახს,
გამარჯვება მოულოცა,
მოულოცა გადარჩენა.

შემობძანდა შემოდგომა,
წითელ-ყვითლად მორთო ზვარი,
რტოდან მკრეფლებს დასაკრეფად
მსხალი უხმობს—ოქროს ზარი.

დაზნექილა წელში ვაზი,
მძიმე ტვირთის ამზიდველი,
მოგიზგიზე ცეცხლის ფერად
მოქარგულა რქაწითელი.

ბუდეშურში შუქი გადის,
შერეცია ციცქის ბროლი,
და გიშერი საფერავში
გაქედილა კვერცხის ტოლი.

ბარაქალა დაწყებულა
ქარვისა და გიშრის რთველი
ვენახს ქალნი შესევიან
და ბიქები პირტიტველი.

ზოგან ყურძნის ხვავი მოჩანს,
ზოგან დგება გორად ხილი,
შემოდგომას ლხინი უყვარს
და მაყრების მოძახილი.

მაგრამ ახლა ხმამაღალ ლხინს
და დიდ ქორწილს სადმე ჰპოებ?!
ველარც მაყრებს ნახავ მოცლილს,
ვერც ჭაბუკებს სამეფოებს.

შარა ძვირად მოაბრწყინებს
აბრეშუმის ახალუხებს,
ძალის ყეფაც ძვირად ისმის,
რადგან ძალლი ქალს არ უყეფს.

სად წასულან, სად არიან
ვაუკაცები შავთვალწარბა?
თეორკაბებში რატომ მოჩანს
ალაგალაგ შავი კაბა?!

ზოგი დასჭრეს, ზოგის თვალიც
სამუდამოდ დაიხუჭა,
უფრო ბევრი ომში არი,
უფრო ცოტა სახლის ბურჯად.

და შინ მყოფი ახალგაზრდა,
სულ ჯაფაში მიტომ არი,
რომ მებრძოლი მედგრად იდგეს,
მტკიცე ზურგის მიმნდობარი.

დგას ჭაბუკი, ურემს ტვირთავს,
კოდს, რომ კოდზე გადაბამს,
შეკრებილთა გასახარად
ამბობს ფრონტის ახალ ამბავს:

„ჩვენი ჯარი კვლავ წინ მიდის,
უკვე დნეპრი გადალახეს
— ეგ შორს არი? ბერიკაკი
მოიბრუნებს ამაყ სახეს.

— მეახე დღეს ძლივს ჩაადწევ,
დღეს წასული უთენია...
— შარშან ამ დროს კარზე გვადგენ,
ეს რამდენი ურბენიათ“.

გაგრძელებს გაკვირვებით,
თან ულვაშში ჩაიცინებს,
და მზრუნველად, თავის ქნევით
ჩამოუვლის ჩალის ზვინებს.

არ სჩვევია საქართველოს,
ქალი იღებს კაცის სარჩოს,
რა ჰქნას ქმარი ომში არი,
ცოლი უნდა გაიხარჯოს.

აგერ შვიდი ბიჭის დედა,
თუმც მას თავათ უნდა შველა,
შვიდივ ომში გაგაზავნა,
სამშობლოსთვის იბრძვის ყველა.

აგერ კიდევ ტკბილი დედა,
ამოოხვრას ვერც კი ბედავს,
ერთადერთი შვილი ჰყავდა,
მართლა გავდა ზღაპრის გმირებს.

იხიც ფრონტზე გაისტუმრა,
დედას ვინღა დაიტირებს!
ორი დედა!

ი. გრიშაშვილის ლექსები რუსულად

„ზარია ვოსტოკის“ გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა ი. გრიშაშვილის რჩეული ლექსების კრებული, რომელსაც წამძღვარებული აქვს ალ. სულავას მოკლე წერილი ი. გრიშაშვილის შემოქმედებაზე. წიგნში მოთავსებულია პოეტის რჩეული ლექსები, მათ შორის ბევრი დაწერილია სამამული ომის დღეებში. წიგნი შემდეგი თავებისაგან შესდგება: „სამშობლო და გამარჯვება“, „თბილისი“, „სიყვარულის სიმღერები“, „ბავშვებს“. წიგნში მოთავსებულია სულ 53 ლექსი, რომლებიც თარგმნილია ბ. სერგრეიკოვის, დ. სტრელცოვის, ნ. ჩხეიძის, ბ. კორნეევის, ი. ნოვიკოვის, რ. ივნევის, ბ. ბრიკის, კ. ჩერნიავსკის, ს. ფეინბერგის, ბ. პასტერნაკის, ა. ყანჩელის, ა. აბამელის, ვ. გურინდაშვილის, ნ. ბობბოიკოვის და ი. მარეზმიერ.

წიგნი, რომლის რედაქტორია ა. აბაშელი, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, ლამაზად არის ფორმებული თავსართავებით, შეიცავს 128 გვერდს და ღირს 7 მან.

ი. გრიშაშვილის რჩეული ლექსების კრებულს, რომელშიც მოთავსებული იქნება ოგივე ლექსები, რაც ზემოთაღნიშნულ რუსულ გამოცემაშია, ქართულ ენაზე გამოსცემს „საბჭოთა მწერალი“.

ფილმ „გიორგი სააკაძის“ მეორე სერია

კადრები ფილმიდან „გიორგი სააკაძე“, მეორე სერია. მარცხნივ—მსახიობი ვ. ანჯაფარიძე რუსუდანის როლში; მარჯვნივ: — მსახიობები ს. ბაღაშვილი (ლუარსაბი) და ლ. ასათიანი (თეკლე).

თბილისის ეკრანზე დიდი წარმატებით მიმდის ისტორიული ეპოპეის „გიორგი სააკაძის“ მეორე სერია. მაყურებელი დაძაბული ინტერესით ადევნებს თვალყურს დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლას შორეულ წარსულში, გამოჩენილი ახედართმთავრის გიორგი სააკაძის ტრაგიკულ ბედსა და თავგადასავალს, მის თავდადებულ ბრძოლას სამშობლოსათვის.

ფილმმა მაღალი შეფასება მიიღო. „პრავდა“ „გიორგი სააკაძის“ მეორე სერიის მოსკოვში დემონსტრირების დღეებში სწერდა:

„ყველა, ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა ხალხების ისტორია, ღრმა პატივისცემით შეჩერდება საქართველოს XVII საუკუნის დასაწყისის დიდი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის ფიგურის წინაშე, რომელმაც მთელი თავისი განსაცვიფრებელი, მგზნებარე ბრძოლით აღსავსე სიცოცხლე მთლიანად, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, შესწირა მშობლიური საქართველოს ბედნიერებასა და დამოუკიდებლობას“.

ჩვენი ისტორიის ეს შესანიშნავი ფიგურა, ეს მგზნებარე ბრძოლით აღსავსე სიცოცხლე აღო თავისი ფილმის თემად სტალინური პრემიის ლაურეატმა რეჟისორმა მ. ჭიაურელმა. ვ. ჭიაურელს და მის მიერ შექმნილ ფილმს „პრავდა“ ასე ახასიათებს:

„სამშობლოსა და სამშობლოს ისტორიის ღრმა ცოდნით აღჭურვილი ჭიაურელი საქართველოს გვიჩვენებს ამოუწურავი გულუხვობით და ამავე დროს ქართული პეიზაჟისა და მთელი ძველი და დიდებული ქართული კულტურის მცოდნის მომთხოვნელი სიზუსტით. მისი თხრობა არასდროს არ გვეთიდება ისტორიულ სქემამდე. მას აინტერესებს ყოველი ახლად გადაშლილი სცენის რა-გორც პირველი პლანი, ისე მეორე და მესამეც. ამავე დროს არც ერთი ხერხი არ აშორებს მის ყურადღებას მთელი ნაწარმოების საერთო ჩანაფიქრს, არ ხდება თვითმიზნად. გონიერი და ანგარიშიანი მხატვარი ჭიაურელი თავის მსახიობებს მათს ხელოვნებასთან განსარტოებულად როდი სტოვებს. იგი ეერთიანებს მათს გარშემო ხმოვანი კინემატოგრაფიის ყველა რთულ საშუალებას“.

„ფილმი „გიორგი სააკაძე“, — დასასრულს „პრავდა“, — შექმნილია იმ ადამიანების მიერ, ვინც იცნობს თავის სამშობლოს და უყვარს იგი, ეს ფილმი შექმნილია დიდი სამშობლო ომის დროს. მას ნახავენ სააკაძის განსჯრიცელებული ოცნებისათვის, თავისუფალი და ბედნიერი საქართველოსთვის ბრძოლების მონაწილენი. მას ნახავენ ფრონტზე და ზურგში საბჭოთა ადამიანები, რომელნიც თავისი ხარაღითა და თავისი შრომით იცავენ ბარბაროსთაგან თავის დიად სამშობლოს — თავისუფალ და თანასწორ ხალხთა ძლიერ ოჯახს“.

ფილმ „გიორგი სააკაძის“ შესახებ 14-ზე მეტმა გაზეთმა მოათავსა რეცენზია. ყველა გაზეთი მაღალ შეფასებას აძლევს ფილმს. „იზვესტია“ სწერს: „დრამატიზმით, სიტუაციების სიძნელეთით, მოქმედებისა და ტემპის დაძაბულობით „გიორგი სააკაძის“ მეორე სერია პირველზე გაცილებით საინტერესოა. ამაშია დამსახურება სცენარის ავტორების ა. ანტონოვსკაიასი და ბ. ჩორნისა, დამდგმელის სტალინური პრემიის ლაურეატის მ. ჭიაურელისა, თბილისის კინოსტუდიის მთელი კოლექტივისა, რომელმაც ომის პირობებში განახორციელა ამ ნაწარმოების რთული დადგმა“.

მოსკოვის პრესამ მაღალი შეფასება მისცა მსახიობებს, რომლებიც ფილმში ქმნიან დაუვიწყარ სახეებს. ვ. ხორავას შესახებ „იზვესტია“ სწერს: „შთავარი გმირის როლს, რომლის სახელი ეწოდება ფილმს, თამაშობს სსრკ სახალხო არტისტი ა. ხორავა. მსახიობმა შესძლო შეექმნა XVII საუკუნის სარდლის სახე, რომელიც ასე ნათლად მოგვაგონებს რუსი დეკემბრისტების — „ბოგატირების“ სახეს. მაყურებელი ხედავს დიდი მოურავის ვაუკაცურ, კეთილშობილურ, შინაგანი ძალით სავსე სახეს. მსახიობი ხსნის გიორგის ტრაგედიას, როგორც სახელმწიფოებრივი მოღვაწისა, ხალხის ბელადისა და ამავე დროს, როგორც მამისა და ადამიანისას“.

„ვეჩერნაია მოსკვა“ ვერიკო ანჯაფარიძის შესახებ სწერს: „ბრწყინვალედ და რელიეფურად გვისახავს ვერიკო ანჯაფარიძე გიორგის ცოლს—რუსუდანს. დიდხანს გრრეგა მეხსიერებაში დრამატიული ეპიზოდი, როცა იგი გიიგებს თავისი შვილის—პაატას საშინელი დაღუპვის ამბავს. შაჰ აბასი ძვირფასი ლარაჯით ფეხავნის დასჯილი ჭაბუკის თავს, მწუხარეა მოიცავს რუსუდანს. მისი სახე ქვავდება, თვალები ღრმა სევდით ივსება. მაგრამ აი ის ადგა, გასწორდა—მწუხარე ოედამ მებრძოლს დაუთმო ადგილი. ანჯაფარიძე—რუსუდანი ჩაუდგა მებრძოლთა რიგებს პაატას მოკვეთილი თავით და მოუწოდებს მათ წმიდა შურისძიებისათვის“.

შაჰ აბასის როლის შემსრულებლის ა. ვასაძის შესახებ „იზვესტია“ სწერს: „როგორც პირველ სერიაში, მტკიცედ მიჰყავს თავისი როლი, სსრ; სახალხო არტისტს ა. ვასაძეს, რომელიც შაჰს თამაშობს, თვით მეორე სერიის სიუჟეტი უფრო დასამახსოვრებელს ჰქმნის ამ როლს, ვიდრე ფილმის პირველ სერიაში, რადგან შაჰ აბასი სამშინელ ძალად იქცევა ფილმის გმირების პირად ბედიღბალში“.

„ლიტერატურა ი ისკუსტვო“ მაღალ შეფასებას აძლევს მთლიანად ფილმს, და, ახასიათებს რა ცალკე შემსრულებლებს, ს. ზაქარიაძის შესახებ სწერს: „მეტქველი და ძლიერი თამაში მსახიობ ზაქარიაძისა, რომელიც ასრულებს თავად შადიმან ბარათაშვილის, ამ ჭკვიანი პოლიტიკოსის, მლიქვნელისა და მკელელის როლს,—სცენაში თვალეს გვამთან იგი მოგვაგონებს შექსპირის ტრაგედიების „ავდად სახეებს“.

ასევე კარგ შეფასებას აძლევს გაზეთი ს. ბაღაშვილისა და ლ. ასათიანის თამაშს: „არტისტები ს. ბაღაშვილი ლუარსაბის როლში და ლ. ასათიანი მისი ცოლის თეკლეს როლში კარგად და მგრძნობიარედ გადატანენ მოდალატე თავადებმა გარშემორტყმული მეფის ოჯახის განწირულებასა და მარტოობას“.

გაზეთი „ტრუდი“ სწერს: „ეს არის ღრმად ნაციონალური ნაწარმოები, რომელიც ატარებს ქართული ხელოვნების ყველა თავისებურების ნიშნებს“. გაზეთი აღნიშნავს, რომ „მთელ ფილმში გატარებულია რუსი და ქართველი ხალხის სულიერი სიახლოვის თემა. თავისუფლების სიყვარული, სულიერი სიწმინდე, სიმართლისაკენ სწრაფვა, საშინელი სიძულვილი დამპყრობლებისადმი — ეს ნაციონალური თვისებები მუდამ ანათესავებდნენ ამ ორ ხალხს. განსაკუთრებით დამაჯერებლად არის გახსნილი ეს თემა ეპიზოდში—ქართველების თავდასხმაში ირანელთა ბანაკზე. ქართველები მიდიან რუსული სიმღერით. მტერი შედრკა, მას ჰგონია, რომ რუსი მებრძოლები მართლა მოვიდნენ მოძმე ქართველების დასახმარებლად. ამ ეპიზოდს, როგორც სიმბოლოს, ორი ხალხის ნათესაობის თემა მაღალ მხატვრულ განზოგადებამდე აჰყავს“.

„ეს ისტორიული ფილმი,—სწერს „ვრასნაია ზვეზდა“,—ავაღლენებს იმიტომ, რომ გვაფრთოვანებს, როცა ხედავ იაფიერი მებრძოლების მამაცობას, მაყურებელი ძალაუნებურად მოიგონებს თაშიზმთან ჩვენი საყოველთაო სახალხო ბრძოლის ველს და წინააღმდეგ შეეპირისპირებაში იმოვნის ახალ ძალებს იმ ბრძოლაში, რომელსაც თვითონ ეწევა მომავლისათვის“.

სამკურნალო კვება ჰოსპიტალებში

გამოფენაზე, რომელიც გაიხსნა სსრ კავშირისა და რსფს რესპუბლიკის ჯანსახკომების საჰოსპიტალო საბჭოების III პლენუმის დელეგატებისათვის, დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სამკურნალო კვების განყოფილებას. ექიმმა დიეტოლოგებმა ათობით რაიონები და ასობით კერძები შეადგინეს, რომლებიც ხელს უწყობენ განკურნების დაჩქარებას.

როცა ჭრილობა დიდხანს არ ხორცდება, საუკეთესო შედეგს იძლევა ფქვილოვანი და ბოსტნეულის კერძების შენაცვლებითი ხმარება. ექიმებმა და სპეციალისტმა კულინარებმა რაციონი შეიმუშავეს ამგვარ ავადმყოფთათვის.

ძვლის გადატეხილობის შეზრდის დაჩქარებას ხელს უწყობს ძვლის ფქვილი. ცდებმა, რომლებიც მოსკოვის მთელ რიგ ჰოსპიტლებში მოახდინეს, ცხადჰყო, რომ ძვლების შეზრდა 2-4 კვირით უფრო ადრე იწყება, როცა ავადმყოფს საჭმელში უმატებენ დღეში სულ 7 გრამ ძვლის ფქვილს.

ბოტკინის სახელობის საავადმყოფოში ფართოდ იყენებენ საკვებ ციღოვან საფუარს. ამ საფუარისაგან დამზადებული პაშტეტები, ღვეზელის, გუფთისა და ტოლმის გული მეტად გემრიელი და ნოყიერია. ტაგანროგის საავადმყოფოში დაჭრილებს აძლევენ ორგანიზმისათვის საჭირო ცილას, რომელიც საქონლის სისხლში მოიპოვება. აქ სისხლისაგან ამზადებენ ხშულამცხვარს, კრემს, ხაბიზგინების გულს და ბევრ სხვა გემრიელ კერძს, რომლებიც სწრაფად აღადგენენ დაჭრილთა ძალღონეს. ავადმყოფთა კვებაში სპატიო ადგილი დაიკავეს ვიტამინებმა. გამოფენაზე წარმოდგენილია დიდად ეფექტიანი ნაყენები და ექსტრაქტები, რომლებიც ჰოსპიტლებში მზადდება. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს კონცენტრირებული ვიტამინი „C“, რომელსაც წიწვისაგან იღებენ. (საკდესი).

წიგნი — მაჯიანე

ვოროშილოვგრადის ოლქის კომკავშირულმა ორგანიზაციამ შეკრიბა წიგნი—მატიანე, სადაც სწერენ ახალგაზრდობის საბრძოლო საქმეებს ომის დღეებში. პირველი ფურცლები შევსებულია „მოლოდაია გვარდიას“ გმირთა ხაგმირო საქმეების აღწერით. (საკდესი).

სამოლენსკინის ყოველ რაიონში მგს-ი იქმნება

სმოლენსკინის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ამა წლის გაზაფხულზე 500 ტრაქტორი გამოიყენეს სახნავად; ამჟამად სატრაქტორო პარკი 1.500 მანქანას აღწევს. ყოველ რაიონში არის მტს-ი, ბევრგან კი—სუხინიჩის, ვიაზმის, ვეატკისა და სხვა რაიონებში—ორ-ორი სადგური შეიქმნა. სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა ოლქში შესრულებულია 159 პროცენტით. (საკდესი).



პალეხელი მხატვრები სურათზე: ალექსი ივანეს-ძე ვატაგინი მუშაობს კომპოზიციაზე „რუსული იარაღის დიდება“. მარცხნივ — რსფსრ სახალხო მხატვარი, სამხატვრო სახ-ჭოს წევრი ივანე ვასილის-ძე მარკიჩევი.

ფოტო ფ. კარიშევისა
(საკდესის ფოტოქრონიკა)

მოსკოვში გაიხსნა სათხილამურო სეზონი

12 დეკემბერს მოსკოვის სოკოლნიკის ჭალაში შესდგა პირველი სათხილამურო ესტაფეტი, მიძღვნილი ზამთრის სეზონის გახსნისადმი.

სტარტზე თავი მოიყარა მოთხილამურეთა 148 გუნდმა. ეს სარეკორდო რაოდენობაა ომის ზეელი ხნის განმავლობაში. შარშან სტარტზე 30-მდე გუნდი გამოვიდა (საკდესი).

ლექციები და მოხსენებები

20 დეკემბერს, საღამოს 6 ს. 30 წ. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში (ავეტოხველის, 5) შესდგება ამბ. **ფრიშენბერგის** ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.** დასწრება თავისუფალია.

20 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება პროფ. **ათაბეგოვის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ანტიჰიტლერული კოალიციის განმტკიცება. ფაშისტური ბლოკის რღვევა“.** ბილეთების მიღება შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

21 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამბ. **ბუდილუვის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა კავშირის სამამულო ომის მიმდინარე მომეტი და საერთაშორისო მდგომარეობა“.** ბილეთების მიღება შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

უკრაინის სსრ ჭანთავისუფლებული რაიონების ვენახების აღდგენისათვის

ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეები საჩუქარს ამზადებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისგან გათავისუფლებული რაიონის კოლმეურნეობებისათვის, გერმანელების მიერ გაპარტახებული უკრაინის ვენახების აღსადგენად ორჯონიკიძელმა კოლმეურნეებმა იკისრეს ვალდებულება დაამზადონ 200 ათასი სუფეთესო ხარისხის ვაზი. რაიონის ყველა კოლმეურნეობაში უკვე გაჩაღებულია მოსამზადებელი მუშაობა (საკდესი).

მეცხვრუსეთა ბრიგადები

ჩხოროწყუ („კომუნისტის“ საკ. კორ.). საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილების საფუძველზე რაიონში საგრძნობლად გაუმჯობესდა ციტრუსოვანი ნარგავების მოვლა. რაიონში არსებული 130.752 ძირი ციტრუსის მოვლისათვის კოლმეურნეობებში გამოყოფილია მეციტრუსეთა სპეციალური ბრიგადები და რგოლები, ხოლო რგოლის შიგნით ციტრუსების ნარგავები მიმაგრებულია კოლმეურნეებზე. ამან კარგი შედეგი მოგვცა.

მეტ წილ კოლმეურნეობებში ციტრუსოვანთა სამუშაოები დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარდა. ამ მხრივ მოწინავენი არიან სოფ. ნაფიჩოვის კიროვის სახელობის, ლესიჩინის ცხაკაიის სახელობის, ახუთის 7 ნოემბრის სახელობის, ხაბუმის ორჯონიკიძის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

ნ. ჭანჭღავა

პროფ. ნ. ა. დუბროვსკი



16 დეკემბერს გარდაიცვალა დამსახურებული მეცნიერი, პროფესორი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე დუბროვსკი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საზოგადოებამ დაკარგეს მხცოვანი მეცნიერი, დაუღალავი მუშაკი, ღრმა და ფართო ერუდიციის სპეციალისტი.

პროფ. ნ. ა. დუბროვსკი დაბადა 1874 წ. ქ. ბათუმში. მან დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და 1897 წ. იგი ჩაირიცხა მსმენელად ვარშავის უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე. დამთავრებისას დასტოვეს უნივერსიტეტთან პროფესორობისათვის მოსამზადებლად. 1906 წელს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე დუბროვსკი გაუმგზავრა საზღვარგარეთ.

1912 წ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე მოიწვიეს თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე, სადაც იგი კითხულობდა დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიას და ისტორიოგრაფიას, ხოლო 1922 წლიდან 1932 წლამდე მუშაობდა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში, საფინანსო-ეკონომიურ ინსტიტუტში და სხვ.

1932 წ. პროფ. ნ. ა. დუბროვსკი უბრუნდება თბილისს და აწყებს მუშაობას სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. 1938-1942 წლებში იგი განაგებდა კოლონიური ქვეყნების ისტორიის კათედრას უნივერსიტეტში და ამავე დროს მუშაობდა ქუთაისისა და სოხუმის პედინსტიტუტებში.

პროფ. ნ. ა. დუბროვსკი თავისი მეცნიერული შრომებით და პედაგოგიური მოღვაწეობით ცნობილია როგორც საქართველოში, ისე მთელს კავშირში. მის კალამს ეკუთვნის „Письма Солютати, как исторические источники“, „Революция 1830 г. и буржуазия“, „Очерки истории Польши“ და სხვ. თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის განმავლობაში მან მრავალი ადამიანი აღზარდა სამშობლოს. იგი ნამდვილი მეგობარი იყო სტუდენტებისა, რომელთაც თავის ღრმა ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემდა. მოსწავლე ახალგაზრდობას უყვარდა იგი როგორც აღმზრდელი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ავრეთვე საზოგადოებრივ მუშაობაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ სათანადოდ შეაფასა პროფ. ნ. ა. დუბროვსკის მოღვაწეობა და 1943 წ. მიანიჭა მას მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. პროფ. ნ. ა. დუბროვსკის სსოვნა დაუვიწყარი იქნება მის მეგობრებსა და ამხანაგებში.

გ. კაკნაძე, მ. ბურჭულაძე, ჭ. იმედაძე, ალ. ჯანელიძე, ს. ჯანაშია, გ. ხაჭაპურიძე, გ. ჩუბინაშვილი, დ. უზნაძე, შ. ამირანაშვილი, გრ. ნათაძე, გ. გეხტმანი, ა. ხარაძე, ვ. კუპრაძე, კ. ბაქრაძე, შ. ნუცუბიძე, ალ. ნამორაძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. გოზალიშვილი, გ. ნიორაძე, გ. ჩიტაია, რ. ნათაძე, გ. თავზიშვილი, ხ. ყალიჩავა, ი. ცინცაძე, ალ. ფირცხალაიშვილი, მ. ბერძენიშვილი, ი. ხუციშვილი, მ. ალექსიშვილი, ალ. გორგაძე, ა. კაკვიძე, ვ. დონაძე, ო. გიგინეიშვილი, ვ. ყუბლაშვილი, მ. გოცაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორის
მოადგილე ბ. ჯიბლაძე

სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

სამამულო ომმა საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო-პროფილაქტიკური ქსელის წინაშე დასვა ფრონტისა და ზურგის მაღალკვალიფიციური სამედიცინო-სანიტარული მომსახურების ამოცანა.

მთავარი ყურადღება ექცეოდა და ექცევა წვეულებრივ და სამხედროვალდებულთა სამედიცინო-სანიტარულ მომსახურებას.

სამხედროვალდებულთა კონტინგენტის სათანადო შერჩევისა და ფრონტის ჯანმრთელი შებრძოლებით უზრუნველყოფის მიზნით სამხედრო კომისარიატების სამხედრო-საექიმო კომისიები დაკომპლექტებულია კვალიფიციური ექიმებით. ზოგიერთ რაიონში თბილისიდან იგზავნებიან ექიმი-სპეციალისტები ადგილებზე კონსულტაციების ჩასატარებლად.

სამამულო ომის პერიოდში სამკურნალო-პროფილაქტიკურმა ქსელმა დიდი მუშაობა ჩატარა ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად და ზურგის სანიტარული კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

უბნის ექიმებს დაევალათ ინფექციური და ინფექციის მხრივ საეჭვო ავადმყოფების დროული გამომეფენება და ჰოსპიტალიზაცია, ინფექციის კერის სანიტარული დამუშავება და სხვ. უბნის ექიმების წარმატებით მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მიერ სანიტარული რეჟიმის დაცვას და ინფექციის საეჭვო შემთხვევებში დროულ სიგნალიზაციას, მით უმეტეს, რომ ქალაქებსა და დიდ რაიონულ ცენტრებში შექმნილია ყოველგვარი პირობა ინფექციურ ავადმყოფთა სრული ჰოსპიტალიზაციისათვის.

სამამულო ომის პერიოდში ფრიად საპასუხისმგებლო მუშაობა დაეკისრა სისხლის გადასხმის ინსტიტუტს ფრონტისა და ზურგის საჭიროებისათვის კონსერვირებული სისხლის მომზადების საქმეში. ამ ამოცანას ის შეუფერებლად, წარმატებით ასრულებს.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაშია საექიმო პერსონალით უზრუნველყოფილი სანიტარული თვითმფრინავები, რომლებითაც ის რესპუბლიკის შორეულ რაიონებს და ფრონტს ემსახურება.

თავდაცვითი საწარმოების მუშათა სამედიცინო-სანიტარული მომსახურების მიზნით მოწყობილია პოლიკლინიკები, ამბულატორიები, ჯანპუნქტები და სხვ.

თავდაცვითი წარმოების მედიცინის მუშაობა ყოველმხრივ უნდა შეესწავლონ მოცემული წარმოების სპეციფიკური პირობები, დასახონ და გაატარონ პროფილაქტიკური ღონისძიებები და ამით ხელი შეუწყონ საწარმოო გეგმის თავის დროზე შესრულებას.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრებს პირველ რიგში ეწევა საჭირო სამკურნალო დახმარება

სამამულო ომით შექმნილმა პირობებმა კიდევ უფრო მეტი სერიოზულობით დააყენა ტუბერკულოზის და ვენერიულ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი.

სამამულო ომის ინვალიდთა ბრძოლის და შრომისუნარიანობის აღდგენის მიზნით რესპუბლიკის ყველა სამკურნალო დაწესებულება ატარებს ინვალიდების მკურნალობას.

თბილისში სამამულო ომის ინვალიდებისათვის გაიხსნა აღდგენითი ქირურგიის ავადმყოფო სპეციალური განყოფილებებით და პოლიკლინიკით. აქვეა სამამულო ომის ინვალიდთა საექიმო-საკურორტო კომისია. შერჩევის შემდეგ ინვალიდები იგზავნებიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კურორტებზე სამკურნალოდ.

მაგრამ სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის დარგში არის ნაკლოვანებებიც.

აღდგენითი ქირურგიის საავადმყოფომ დღემდეც ვერ შესძლო შტატების სრული დაკომპლექტება, წყლით, ტალახითა და პარაფინით მკურნალობის ორგანიზაცია; ეს ნაკლი უახლოეს დროში უნდა გამოსწორდეს.

სამამულო ომის ინვალიდთა სამკურნალო დახმარების გაუმჯობესების მიზნით ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი ამზადებს მედმუშაკთა სპეციალურ კადრებს. ასე, მაგალითად, ამჟამად 60 კაცისაგან შემდგარი საშუალო მედპერსონალი ამთავრებს მასაჟის, მექანოთერაპიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალურ კურსს.

მიმდინარე წლის სექტემბრიდან საქართველოს ქალაქებსა და სამრეწველო რაიონებში არსებულ საავადმყოფოებს გაუდიდდათ პურის და საკვები პროდუქტების ნორმა, მაგრამ ზოგიერთი რაიონის სავაჭრო დაწესებულებები მთლიანად არ ასრულებენ ჯანმრთელობის დაცვის და ვაჭრობის სახალხო კომისარიატების ბრძანებას და უგულებელჰყოფენ ავადმყოფთა კვების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას. ეს ნაკლი უნდა აღმოიფხვრას.

ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულებაში მოისუსტებს შრომის დისციპლინა, სათანადო ყურადღება არ ექცევა სანიტარული რეჟიმის დაცვას, სახელმწიფო ქონების მოვლას და სხვ. ასე, მაგალითად, თიანეთის ჯანმრთელობის განყოფილების ყოფილმა გამგემ ექიმმა ა. ალიმაძემ თითქმის ჩაშლამდე მიიყვანა რაიონში სამკურნალო დახმარების წესიერი ორგანიზაცია, რისთვისაც იგი მოხსნილია საუშობიდან.

სამკურნალო დახმარების საქმე ასევე მოისუსტებს გეგეჭკორის რაიონშიც (ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ექიმი დ. გაბისონია).

ყაზბეგის რაიონის საავადმყოფოს გამგემ ექიმმა ვ. ბერიძემ და აფთიაქის გამგე კალანდაძემ მოითვისეს სამკურნალო ხელსაწყოები და მედიკამენტები, რისთვისაც ისინი მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ავადმყოფთა კვების გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საავადმყოფოების დამხმარე მეურნეობათა მოწყობას, მაგრამ ზოგიერთი საავადმყოფოს ხელმძღვანელები და ჯანმრთელობის განყოფილებები ამას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ასე, მაგალითად, რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოს ყოფილმა ხელმძღვანელობამ ვერ ათვისა დამხმარე მეურნეობისათვის გამოყოფილი ნაკვეთი დიღომში. სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მხოლოდ ორი ჰექტარი ნაკვეთი აქვს, მაშინ როდესაც მას თანამშრომელთა ძალებისა და ავადმყოფთა შრომითი თერაპიის გამოყენებით შეუძლია ათვისოს 15 ჰექტარზე მეტი ნაკვეთი.

მოსახლეობის სამკურნალო დახმარების მაღალ საფეხურზე აყვანისათვის საჭიროა ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენება და ყველა იმ დეფექტის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჯანმრთელობის დაცვის საბჭოს კომისარიატის სისტემაში შემავალ სამკურნალო დაწესებულებებში.

სამ